ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 8 ივლისი, 2021 №123 (8652) ფასი: 60 თეთრი

ბადრი გავაშელიშვილი: „უგულავამ თვალში მუშტი მომარტყა, მე ხელი ვკარი, ვიჭიდავეთ და წავიქეცი“

გვ.5

„ნატოს მოსაცდელში ყურყუტი კიდევ დიდხანს მოგვიწევს“

სოსო ცინცაძე: „როგორ უნდა მივუკაკუნოთ ევროკავშირს, დასისხლიანებული ჟურნალისტებით?!“



გვ.4

„პოლიცია მაშინ არის აქტიური, როცა ეს პირადად ბიძინა ივანიშვილს სჭირდება“

გვ.3

შოთა მალაშხია: „დღეს პოლიტიკური კლიმატის შემქმნელი პარტია არ არსებობს“

„ძვირად უნდა დაუჯდეს „ქართულ ოცნებას“ ჟურნალისტების ცემა“

გვ.4

პაატა ზაქარეიშვილი: „მეუფე შიომ რაც თქვა, ამას არაფერი საერთო ქრისტიანობასთან არა აქვს! დიდი სიამოვნებით დავუჯდები საჯაროდ და დაველაპარაკები ამაზე“

გია ხუხაშვილი: „ოპოზიციაში ექსპერტებად იქცნენ... თუ სცხელათ და ეზარებათ, დაისვენონ“

გვ.3

„ხელისუფლებამ სისტემური, მასობრივი დანაშაული ჩაიდინა“

მეუფე იაკობი: „უგულავა თუ ვაქცინაცია, შემხვდეს, ნუ იმალება“



გვ.2

გვ.5

სპეცოპერაცია გორში — დააკავეს თაზო რიკრიკაძე და 4 პირი

ISSN 1987-9385

2 გახარია „ოცნებაზე“: „ეს წარმოუდგენელი უუნარობის გამოხატულება იყო“

2 „რა შობს შუბლზე ასეთ ძარღვგაწყვეტილობას, ვერ ვხსნი“ ვოლსკი გახარიას განცხადებაზე

2 ანა მიქელაძე ცესკოდან წასვლის მიზეზებზე ალაპარაკდა

6 ერაყში აშშ-ის სამხედრო ბაზას 14 რაკეტა ესროლეს

6 ჰაიტის პრეზიდენტი და მისი ცოლი მოკლეს

გახარია „ოცნებაზე“: „ეს წარმოუდგენელი უუნაროობის გამოხატულება იყო“

პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოსთვის“ თავმჯდომარე გიორგი გახარია „თბილისი პრაიდთან“ დაკავშირებით განვითარებულ მოვლენებს გამოეხმაურა.

– ეს არ არის მხოლოდ პოლიციის გადმოსახედიდან შესაფასებელი შემთხვევა. ეს იყო პოლიტიკური მოვლენა, უმძიმესი საყურებელი, როდესაც ჩამოშლილი სახელმწიფო დავინახეთ. როდესაც სახელმწიფო ვერ იცავდა ვერც კონსტიტუციას, სახელმწიფომ ვერ დაიცვა ფიზიკური ძალადობისგან თავისი მოქალაქეები, სახელმწიფომ ვერ დაიცვა ჟურნალისტები მასობრივი დევნისგან, ვერ დაიცვა ტურისტები, უბრალოდ, წარმოუდგენელი იყო, რაც ვნახეთ. ეს უუნარობის გამოხატულება იყო.

გარდა ამისა, ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელი და გაურკვეველი იყო, როდესაც სახელმწიფომ, მმართველმა ძალამ და ხელმძღვანელებმა გვითხრეს: „ჩვენ ხომ გაფრთხილებდითო?“

ფაქტობრივად, გვითხრეს, რომ ჩვენ ვიცოდით წინასწარ, ასე რომ იქნებოდაო. გაგაფრთხილეთ და ამის იქით, თქვენი თავისთვის თქვენ უნდა მიგეხედათო – არაკომპეტენტურის პიკი.

ადამიანებს ასე ესმით სახელმწიფო, სახელმწიფომ თუ გამაფრთხილა მე რისკების შესახებ, ჩემს ფიზიკურ უსაფრთხოებაზე და კონსტიტუციური წესრიგის შენარჩუნებაზე, თურმე სხვები არიან პასუხისმგებლები – უსუსურობაა. ამის შემდგომ, რაც უფრო მიუღებელი იყო, სახელმწიფო, მმართველი ძალის დღევანდელი ბოსები ყველაფერს აბრალებენ ყველას – მოქალაქეებს, ეკლესიას, ევროპას, როცა აწყობთ, მემარჯვენეებს, როცა აწყობთ, მემარცხენეებს, მაგრამ საერთოდ არაფერს ამბობენ თავის პასუხისმგებლობაზე.

ჩემთვის ძალიან მძიმეა, როდესაც ჩემს სახელმწიფოზე ვსაუბრობ, რომელსაც საქართველოს თითოეული მოქალაქე უნდა ვემსახურებოდეთ, – აღნიშნა გახარიამ.

„რა შობს შუბლზე ასეთ ძარღვგაწყვეტილობას, ვერ ვხსნი“

ვოლსკი გახარიას განცხადებაზე

– ძალადობა რომ ძალადობას შობს, დაგიდასტურებთ, მაგრამ რა შობს ასეთ შუბლზე ძარღვგაწყვეტილობას, ვერ ვხსნი.

ამის შესახებ პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა გია ვოლსკიმ ჟურნალისტებს განუცხადა, რითაც გამოეხმაურა „პრაიდთან“ დაკავშირებული მოვლენების შესახებ გიორგი გახარიას შეფასებას.

ვოლსკის თქმით, გახარიას განცხადება მიუღებელია და პოლიტიკური სპეკულაციის მაგალითია.

– ძალადობა არ არის ის თემა, რომელიც ხელისუფლებას ახასიათებს, მათ შორის არ ახასიათებდა გიორგი გახარიას ხელმძღვანელობის დროსაც. მას მერე არ შეცვლილა სახელმწიფოში მიდგომა და თუ მის პოლიტიკას ასეთი განცხადებების კეთება სჭირდება, რასაკვირველია, მხოლოდ ამაზე შეიძლება გვქონდეს კომენტარი. ის, რაც მისი განცხადების შინაარსში დევს, ეს არის პოლიტიკური სპეკულაციის მაგალითი, რომელზეც შეიძლება, მომავალ თაობებს ასწავლო, როგორ არ უნდა მოიქცე, როდესაც პოლიტიკურ პოზიციას იცვლი.

მისი განცხადებები არა თუ ბრძნულია, არამედ მიუღებელია, არაეთიკურია და არასწორია, ვინაიდან არ აქვს საფუძველი. მიზეზი იმისა, რომ ასე ისაუბროს, მხოლოდ შეიძლება იყოს პოლიტიკური სპეკულაცია და თავის წარმოჩენის სურვილი, – განაცხადა ვოლსკიმ.

მეუფე იაკობი: „უგულავა თუ ვაჟკაცია, შემხვდეს, ნუ იმალება“

გრძნობს თუ არა პასუხისმგებლობას საქართველოს საპატრიარქო იმ ძალადობაზე, რაც საზოგადოებამ ბოლო 2 დღის განმავლობაში იხილა?

ამ კითხვას ბოდბელი ეპისკოპოსი იაკობი უარყოფითად პასუხობს.

– ერთ რამეს გეტყვით ახლა: ჩემზე ნუ დაიწყებთ ნურაფრის გადმობრალებას, მე პასუხისმგებლობასაც არ ვგრძნობ, თუმცა ვწუხვარ, რომ ასე შეგემთხვათ ჟურნალისტებს, მაგრამ საპატრიარქოს პასუხისმგებლობას აბსოლუტურად არ ვგრძნობ. ჩვენ გვქონდა ინფორმაციები, რომ ის ჯგუფები, რომლებიც აპირებდნენ, მათ უკან ვინც იდგა რა, უშუალოდ თაბაგარზე არ ვლაპარაკობ, მათ უკან ვინც იდგა და აძალებდნენ, არ გადაეტანათ, მაგის პროვოცირებებს რომ აპირებდნენ, ვიცოდი.

ბატონი უგულავა რომ გამოდის და ხან პატრიარქზე იძახის, ჯერ ვაჟკაცი კაცი უნდა იყოს და არ იმალებოდეს, ჩემთან თუ რამე გასარკვევი აქვს, შეუძლია შემხვდეს და რაღაცებს რომ გვაბრალებს, თავის თავს მიხედოს იმან, – განაცხადა მეუფე იაკობმა.

„პროცესის მიმართ არსებობდა კითხვები“

ანა მიქელაძე ცესკოდან წასვლის მიზეზებზე ალაპარაკდა

– საარჩევნო ადმინისტრაციას ჰქონდა ბერკეტი და შესაძლებლობა დროულად გაეცა პასუხი კითხვებზე, რაც თავიდან აგვარიდებდა მთელ ქვეყანას იმ პოლიტიკურ კრიზისს, რომელშიც აღმოვჩნდით, – განაცხადა ცესკოს ყოფილმა პრესსპიკერმა ანა მიქელაძემ.

მიქელაძე მედიასთან გუშინ, 7 ივლისს, პირველად პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან გამოჩნდა, სადაც ცესკოს თავმჯდომარეობისა და წევრობის კანდიდატებთან გასაუბრებები მიმდინარეობდა.

ანა მიქელაძეს ცესკოს წევრობაზე აქვს კანდიდატურა წარდგენილი.

– პროცესის მიმართ არსებობდა კითხვები. ეს კითხვები დასმული იყო როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან, ასევე ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციებს მხრიდან.

მე პირადად მიმაჩნია, რომ საარჩევნო ადმინისტრაციას ჰქონდა ბერკეტი და შესაძლებლობა ამ კითხვებზე დროულად გაეცა პასუხი, რაც თავიდან აგვარიდებდა მთელ ქვეყანას იმ პოლიტიკურ კრიზისს, რომელშიც აღმოვჩნდით, – განაცხადა ანა მიქელაძემ.

ანა მიქელაძემ თანამდებობა 2020 წლის არჩევნების შემდეგ დატოვა, განცხადება ფეისბუქით გაავრცელა და სხვა კომენტარი აღარ გაუკეთებია.

ნათია თურნავამ დაჭრილი პოლონელი ტურისტი მოინახულა

პოლონეთის მოქალაქე, რომელიც რამდენიმე დღის წინ დაჭრეს, ეკონომიკის მინისტრმა მოინახულა. ნათია თურნავას თქმით, მომხდარის გამო წუხს და ნებისმიერი მსგავსი ძალადობის ფაქტი აზიანებს ჩვენი ქვეყნის იმიჯს.

მისივე განცხადებით, პოლონელ ტურისტთან დაკავშირებული ინციდენტი არის ერთეული სამწუხარო შემთხვევა და არ ასახავს ქვეყანაში ტურისტების მიმართ არსებულ დამოკიდებულებას.

– მინდა ვთქვა, რომ არ დავუშვებთ ჩვენი ქვეყნის ტურისტული იმიჯის დაზიანებას. ასევე ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოში ნებისმიერი ტურისტი დაცულია და საქართველო არის ერთ-ერთი ყველაზე უსაფრთხო და სტუმართმოყვარე ქვეყანა ტურისტებისთვის.

ჩვენ ბევრ რამეს ვაკეთებთ, რათა პანდემიის შემდეგ დროულად აღდგეს ტურისტული ინდუსტრია, გაუმჯობესდეს ტურისტული გარემო და ინფრასტრუქტურა. პოლიცია მოწოდების სიმაღლეზეა და ნებისმიერი ტურისტი უსაფრთხოდ გრძნობს და იგრძნობს თავს საქართველოში, სადაც მათი უსაფრთხოება დაცულია. თუმცა, ამავდროულად, რა თქმა უნდა, გვესმის, რომ ნებისმიერი ასეთი ფაქტი დამაზიანებელია ჩვენი იმიჯისთვის, ვინაიდან ტურიზმი არის სენსიტიური ინდუსტრია და სწრაფად რეაგირებს ასეთ შემთხვევებზე.

მინდა ყველა დავარწმუნო, რომ საქართველო არის ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი, უსაფრთხო, მშვიდობიანი ადგილი ტურისტებისთვის და კვლავაც ველოდებით უამრავ ტურისტს ჩვენთან, რომელთაც უსაფრთხო გარემოში, ჩვენი ქვეყნისთვის დამახასიათებელი სტუმართმოყვარეობით ვუმასპინძლებთ საქართველოს ნებისმიერ რეგიონში, – განაცხადა ნათია თურნავამ.

ოლივერ ვარჰეი: „საქართველო დგას ტრანსფორმაციის გზაზე“

– თუ ერთი რამ ვისწავლე საქართველოს შესახებ და საქართველოში, თუ შეიძლება ასეთი რამ გამოიკვეთოს, არის ის, რომ ეს არის ერი, რომელმაც ათასობით წლის განმავლობაში იბრძოლა დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის.

ამის შესახებ სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ევროკომისარმა ოლივერ ვარჰეიმ საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან ერთობლივ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტის კითხვის პასუხად განაცხადა.

მისი თქმით, ეს არის ერი, რომელმაც ძალიან კარგად იცის ფასეულობა და მნიშვნელობა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის.

– ჩვენ გვინდა, ქვეყანას დავეხმაროთ ამ მიღწევის შენარჩუნებაში და ეს რომ გახდეს მასშტაბური, ეს რეფორმები უკავშირდება სამართლის უზენაესობას. ეს არის ფუძემდებლური ჩვენი თანამშრომლობისთვის, – განაცხადა ევროკომისარმა.

მისივე თქმით, ევროკავშირის სურვილია ქვეყანაში ყველა დემოკრატიული პროცესის მხარდაჭერა.

– ჩვენ განვიხილეთ პარლამენტის წევრებთან, ბატონ პრემიერ-მინისტრთან და კიდევ უფრო მეტი აქცენტები გაკეთდება ამაზე მომავალში. ჩვენ გრძელი სია გვაქვს საკითხებისა, რომლებიც უნდა შესრულდეს და იმედიანად ვრჩები იმ მოსაზრებებისგან, რასაც ვიღებ ქვეყანაში ამ შეხვედრებზე. ძალიან ძლიერია მხარდაჭერა დემოკრატიის მიმართ და ვხედავ ხელისუფლების მიერ ნაკისრ ვალდებულებასა და ერთგულებას, საქართველო დგას ტრანსფორმაციის გზაზე და ჩვენ დავეხმარებით ქვეყანას ამაში. გვინდა, რომ ადმინისტრირება, სასამართლო სისტემა და ყველა სხვა დემოკრატიული პროცესი იქნას მხარდაჭერილი, – აღნიშნა ვარჰეიმ.

რადიკალების მიერ დამწვარი ევროკავშირის დროშის ადგილზე კახა კუჭავამ ახალი დროშა დაკიდა



პარლამენტის თავმჯდომარემ საკანონმდებლო ორგანოს წინ დღეს ევროკავშირის დროშა თავად დაკიდა.

„ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია ქართველი ხალხის ისტორიული არჩევანია და ამ გზაზე აუცილებლად ვივლით წინ! მიუღებელია ევროკავშირის დროშის დაშვება. ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის სადარაჯოზე მუდმივად დგანან. მათი წვლილი საქართველოს განვითარებაში ფასდაუდებელია.

უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ, ყველას, ერთი სამშობლო გვაქვს, რომლის ისტორიას, ტრადიციებსა და რელიგიას არაფერი აქვს საერთო ძალადობასთან“ – წერს კახა კუჭავა ფეისბუქზე.

რადიკალურმა ჯგუფებმა პარლამენტის წინ აღმართული ევროკავშირის დროშა 6 ივლისს ჩამოგლიჯეს და დაწვეს.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეგერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ხელისუფლებამ სისტემური, მასობრივი დანაშაული ჩაიდინა“

გია ხუხაშვილი: „ოპოზიციაში ექსპერტებად იქცნენ... თუ სცხელათ და ეზარებათ, დაისვენონ“

იაგო ნაცვლიშვილი

ჟურნალისტების ცემა, ევროკავშირის დროშის ჩამოგლეჯა, ქვებისა და კვერცხების სროლა, — ის იმ ვანდალური აქტების არასრული ჩამონათვალია, რაც რადიკალურმა ჯგუფებმა ბოლო ორ დღეში დედაქალაქის ცენტრალურ ქუჩებში განახორციელეს. რის გამოც უკვე გაისმა დასავლელი პოლიტიკოსებისა და მედიის მხრიდან ტერმინი „ბარბაროსული“. რა შედეგს მოუტანს ეს საქართველოს და ხომ არ უნდა ველოდოთ სანქციებს? ჩანს თუ არა ამ ყველაფერში ხელისუფლების ხელი და გვაქვს თუ არა რეალურად სახელმწიფო? — ამ და სხვა კითხვებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი გია ხუხაშვილი საუბრობს.

— რა გვაჩვენა ამ ორდღიანმა პროცესმა — გვაქვს თუ არა სახელმწიფო?

— მოდით ასე ვთქვათ, რომ გვაქვს თუ არა სახელმწიფო, ცოტა ისეთი კითხვაა. პოლიტიკურად შეიძლება გიპასუხოთ, რომ არ გვაქვს. რეალურად ნამდვილად გვაქვს სახელმწიფოს სიმპტომები. მართალია მისი რგოლები ცუდად და სუსტად მუშაობს. ინსტიტუციურად სახეზე გვაქვს აღრევა და აჯაფსანდალი, მაგრამ სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი სიმპტომები გვაქვს.

— ამ პროცესებში ჩანს თუ არა ხელისუფლების ხელი?

— რა თქმა უნდა, ჩანს. ამაში ორი აზრი არ არსებობს. ჩვენ ასეთი ტიპის პროცესების დიდი გამოცდილება გვაქვს და, ბუნებრივია, რომ მინიმუმ ხელისუფლებას ელემენტარული სურვილი რომ ჰქონოდა, არ მომხდარიყო ის, რაც მოხდა, მაშინ ეს არ მოხდებოდა. თუ მოხდა ხელისუფლების გამიჯვნა მის ორგანიზატორებთან, მინიმუმ მიამიტური გაგება იქნებოდა.

— ხელისუფლების მიერ არის დაორგანიზებული თუ უბრალოდ ისიც იყო ჩართული?

— როგორც მინიმუმ, ხელშეწყობილი. იმიტომ, რომ აქ პირდაპირ იკითხება პოლიტიკური სარგებელი.

— რომ დავუშვათ ის, რომ ღარიბაშვილმა შეცდომა დაუშვა განცხადების გაკეთებისას, ქმედებები არ გვაფიქრებინებს, რომ ჩართულები იყვნენ? ამის შემდეგ იყო დაგმობა და ბოლოს გაკეთდა კობახიძის განცხადება, როდესაც მან ხელი სხვისკენ გაიშვირა?

— დიდი ბოდიში, მაგრამ რას ვეძახით დაგმობას?! ფაქტია, რომ ჩადენილია სისტემური, მასობრივი დანაშაული. ეს დანაშაული მინიმუმ არ იყო აღკვეთილი ხელისუფლების მიერ. რეაგირებაც არ ჩანს. მათ შორის ჟურნალისტებმა მიიღეს მძიმე დაზიანებები. ეს არის მხოლოდ ძალადობრივი დანაშაული ჟურნალისტური საქმიანობის ხელის შეშლის თვალსაზრისით, არამედ ეს დანაშაული თავისი არსით საკმაოდ მძიმე დანაშაულის კატეგორიაში გადის. ვინმე დაისაჯა? — ჯერჯერობით არც არავინ. ახლა რიტორიკისა და განცხადებების დონეზე, ენას ძვალი არ აქვს, მაგრამ რეალურად ხელისუფლება ამ პროცესის თანამონაწილე იყო.

„ხელისუფლება ფსონს ბრბოს ძალაუფლებაზე ჩამოდის, რაზეც დასავლეთში რეაგირება ექნებათ“

კობახიძის განცხადებას რაც შეეხება, გასაკვირი არ არის. შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე გულწრფელია იმ მხრივ, რომ ყველგან ეძებს პოლიტიკურ დივიდენდს. ყველა მის გამონათქვამში ეს ჩანს შეძლებისდაგვარად. ახლაც იგივე გააკეთა მან.

— ერთ-ერთმა ექსპერტმა თქვა ჩვენთან ცოტა ხნის წინ, რომ კობახიძე შავ სამუშაოს ასრულებსო და ახლაც ეს ხომ არ გამოჩნდა, რომ დარტყმა თავის თავზე აიღო?

— ვის რაში აინტერესებს რა აიღო. დარტყმა მიიღო ქართულმა სახელმწიფომ და მათი კონკრეტული როლი — ვის რა სცენარი დაუწერეს, ეს ჩვენ საერთოდ არ გვაინტერესებს.

— ბუნებრივია, რომ მედიაზე თავდასხმა იყო მიზანმიმართული და დაგეგმილი სცენარი, მაგრამ რას ემსახურებოდა ეს?

— თუ ვინმეს დაშინება უნდოდათ, ეს ამოცანა შეუსრულებადია. მე ვფიქრობ, რომ მთავარი მიზანი მაინც სხვა იყო. მთავარი მიზანი ისევ და ისევ შუას გაკრეფა იყო. წარმოგვიდგინეს, რომ თითქოს ქართული ტრადიციებისა და მართლმადიდებლობის დამცველები და ჯანსაღი ჰეტერო სექსუალური ცხოვრების დამცველები იყვნენ და ვინც ამ ყველაფერს აპროტესტებს, მათთვის ყველა უმცირესობის წარმომადგენელია. ეს იყო ამოცანა. არა მგონია დადებითი დამოკიდებულება ჰქონოდა იმას, რომ ბევრ ჟურნალისტს სცემეს.

როდესაც ჯინს უშვებ ბოთლიდან ყველაზე ბნელი და აგრესიული ამოცანის შესასრულებლად, მერე მისი გაკონტროლება გაგიჭირდება.

ამ ხალხის დასჯის შესაძლებლობა რომ ჰქონდეთ, დასჯიდნენ, მაგრამ ვერ სჯიან. იმიტომ, რომ ეს თუ გააკეთეს, მათი პოლიტიკური ამოცანა შეუსრულებელი იქნება. იმიტომ, რომ ამ ურაპატრიოტიზმით რა შედეგის მიღებაც უნდათ, ეს არ ნიშნავს ამ ხალხის დასჯას. პირიქით, იმ ხალხის თვალში, ვის დასანახადაც ეს ხალხი ქვებსა და ბოთლებს ისროდნენ და დედას იგინებოდნენ, გმირები არიან. მათი გულების მოსაგებად მოხდა ეს და ახლა ეს ხალხი რომ დაიჭირონ, იმ ამომრჩეველს გააბრაზებენ, ვისი იმედიც აქვთ.

— ამ ვითარებით „ოცნებამ“ ვითარება კიდევ უფრო ხომ არ გაირთულა?

— თავის მხრივ ბალანსირებენ რაღაცას და ცდილობენ, რომ რაღაცა გამოიყვანონ აქედან. ოპოზიცია როგორ მოიქცევა, ამაზეა ბევრი რამე დამოკიდებული. სიმართლე გითხრათ, ოპოზიცია ექსპერტებად იქცა და მარტო შეფასებების კეთებით არის დაკავებული. რეალურად არ მოქმედებენ.

— ჩვენ ვერ გამოვიდოდით, რადგან ამით იქ დაპირისპირების კერა იქნებოდაო. ამით იმართლებენ თავს. რა უნდა გაეკეთებინათ?

— დიდი ბოდიში, მაგრამ პარლამენტში ხომ შევიდნენ?! ცხელ გულზე ცხელი თემის ირგვლივ მაშინვე მოეხდინათ ინიცირება საგამოძიებო კომისიის შექმნასთან დაკავშირებით — ვინ არის დამკვეთი, ვინ შემსრულებელია. თუ იმის იმედი აქვთ, რომ ხელისუფლება გამოიძიებს?! თუ ამის იმედი აქვთ, მაშინ საერთოდ გაჩერდნენ. თუ ამის იმედი არ აქვთ, მაშინ რა ინსტრუმენტიც აქვთ, გამოიყენონ. შექმნან საგამოძიებო კომისია, მათ ამისთვის ყველა რესურსი აქვთ დღევანდელი კანონმდებლობით და არაფერში აღარ სჭირდებათ ხელისუფლება. შექმნან კომისია და გამოიძიონ, ღარიბაშვილის როლი რა იყო, აღმასრულებელი ხელისუფლების როლი რა იყო, რა დავალება ჰქონდა პოლიციას მიღებული, როდესაც მოძალადეები გაჰყავდათ და მერე ისევ მოწყვეტილად ბრუნდებოდნენ. გაჰყავდათ კამერების დასანახად და მერე მხარზე უთათუნებდნენ. გამოიძინონ, ეზარებათ? ზაფხულია და ცხელა? — თუ სცხელათ, დაისვენონ.

— ორი სახიფათო გზავნილი იყო — ჟურნალისტების ცემა და ევროკავშირის დროშის ჩამოხევა. ხედავთ თუ არა უკვე დასავლეთის რეაგირების ნიშნებს და გარკვეულ სანქციებსაც ხომ არ უნდა ველოდოთ?

— არა. არა მგონია, რომ ასე სწრაფად მოხდეს ეს. არ არის დასავლეთში ასე. კი ბატონო, ისინი რეაგირებენ რიტორიკულ დონეზე, მაგრამ ასე სწრაფად არ ხდება ასე. მე არ ველოდები სანქციებს და ა. შ. არც იმას ველოდები, რომ ვიღაცას აუკრძალავენ ევროკავშირში შესვლას. თუ სისტემურად აკრძალვებზე დაიწყო საუბარი, მერე პირველ რიგში ღარიბაშვილს უნდა აუკრძალონ. ჩემი აზრით, ის არის ამ პროცესის თანამონაწილე თუ ორგანიზატორი და დამკვეთი არაა.

— ამ მიმართულებით რა მოლოდინი გაქვთ?

— ჯერჯერობით არაფერი, თუმცა პროცესი მიდის ამ მიმართულებით. თუ ასე გაგრძელდა, ხელისუფლება აშენებს ორხოკრატიულ საზოგადოებას, ანუ ბრბოს ძალაუფლებაზე ჩამოდის ფსონს... ბუნებრივია, რომ ორხოკრატია დასავლური გაგებით მიუღებელია და რეაგირება ექნებათ ამაზე.

„პოლიცია მაშინ არის აქტიური, როცა ეს პირადად ბიძინა ივანიშვილს სჭირდება“

შოთა მალაშხია: „დღეს პოლიტიკური კლიმატის შემქმნელი პარტია არ არსებობს“

მარიამ მჭედლიშვილი

რა ხდებოდა თბილისში 5 და 6 ივლისს? ვინ ახდენდა ძალადობის კულტივირებას? როდის არის აქტიური პოლიცია? რას აკეთებს ჯანდაცვის სფეროს ელიტა? რატომ ვერ გამოიყენებს მობილიზებულ ელექტორატს ვერც ერთი პარტია? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის თავმჯდომარეს, ყოფილ დეპუტატს, შოთა მალაშხიას.

— რატომ მოხდა ამდენი ძალადობა ამ დღეებში? არის იმედი, რომ მოძალადეები და ორგანიზატორები დაისჯებიან?

— მთლიანობაში განვიხილოთ, რა ხდება ქვეყანაში. პოლიცია ეფექტურია და ზედმეტად აქტიურია მაშინ, როცა ეს პირადად ბიძინა ივანიშვილს სჭირდება. საკმარისია რამდენიმე პროტესტანტი მიუახლოვდეს ივანიშვილის საცხოვრებელს, პოლიციის არნახული მობილიზაციის მოწმენი ვხდებით. უდანაშაულო პოლიტიკური ლიდერის, ნიკა მელიას ოფისიდან აყვანის დროს პოლიციელების ზღვა რაოდენობა იყო. ნიკა მელიას დაკავებაც ბიძინა ივანიშვილის ინტერესში იყო. რამდენი წელია ვამბობ, რომ სახელმწიფო სამსახურები გადაიქცნენ ბიძინა ივანიშვილის მომსახურების ბიუროდ. სულ ერთია, რა პოზიცია უკავია ივანიშვილს. რამდენიმე თვის წინ გავრცელდა აუდიოჩანაწერი ბერა ივანიშვილის მონაწილეობით. გამოგვიცხადეს, რომ ეს ძველი ჩანაწერია. მაშინ ჩუბინიძე, ღარიბაშვილი და სხვები თანამდებობებზე არ იყვნენ. დავუშვათ, ასეა. თუ მაშინ ახალისებდნენ ძალადობას და ამაში მონაწილეობდნენ, ახლა, როცა ძალაუფლება აქვთ, უფრო უარესს არ იზამენ?!

— ამით რის თქმა გინდათ?

— იმის, რომ ძალადობა ამ ხელისუფლების წარმომადგენლების კულტივირებულია. ღარიბაშვილი, კობახიძე გამოირჩევიან რადიკალური ძალადობრივი ლექსიკით. ასეთივე იყო გახარია, რომელიც გადადგა, პარტიას ქმნის და რიტორიკას იცვლის. ეს ხალხი ხშირად ხმარობენ სიტყვებს „დაგამთავრებთ“, „გაგანადგურებთ“. ეს ადამიანები პოლიტიკური ოპონენტების მიმართ გამოირჩეოდნენ აგრესიული ლექსიკით. აშკარა იყო, რომ აგრესიის კულტივირებას ექნებოდა გამოვლინება. ის, რაც ხდებოდა 5 და 6 ივლისს, სწორედ ეს იყო. 5 ივლისს აუცილებელი იყო წესრიგის დაცვა, დაპირისპირების აღკვეთა, თუმცა პოლიცია კანტიკუნტად იყო წარმოდგენილი. ადამიანების დაცვა ბიძინას ინტერესში არ შედიოდა. მისი, ისევე, როგორც რუსეთიდან მართული სხვა ჯგუფების ამოცანა იყო დაპირისპირება. ეს ამოცანა შესრულდა.

— ორგანიზატორებმა საზოგადოებაში არსებული განსხვავებები გამოიყენეს?

— რასაკვირველია. დაგეგმილი პროვოკაციების დროს ყოველთვის იყენებენ ადამიანების გრძნობებს და გულწრფელ ემოციებს. ყველა სახელმწიფოში, მათ შორის, გერმანიაში, საფრანგეთში ჰომოსექსუალებს და სხვებს ჰყავთ მოწინააღმდეგეები. გამოხატვის უფლება აქვს ყველას. როცა რომელიმე მოქალაქე და ჯგუფი არღვევს მშვიდობიანი გამოხატვის უფლებას და სხვაზე ძალადობს, ეს უკვე არის სახელმწიფოს კომპეტენცია. აქ უნდა ჩაერიოს სახელმწიფო. ძალადობა არის დასჯადი ქმედება.

— ამ დღეებში ბევრმა მოქალაქემ თქვა, რომ სახელმწიფო არ გვაქვს.

— ეს არც არის გასაკვირი. 9 წელიწადია, ვცხოვრობთ ბიძინას სახელმწიფოში. თუ ნორმალური ცხოვრება გვინდა, ბიძინას სახელმწიფო უნდა შეიცვალოს საქართველოს მოქალაქეების სახელმწიფოდ.

— ჟურნალისტებზე, ოპერატორებსა და ფოტოგრაფებზე ნადირობა რისი მანიშნებელია?

— მედიასაც გაუერთიანეს ცხვირ-პირი ამ პროცესში. არა მგონია, ამაზე ცალკე განკარგულება ყოფილიყო გაცემული. ესეც საერთო ძალადობის ნაწილია. ეს იყო აგრესია კრიტიკული მედიის მიმართ. ძალადობის მსხვერპლია მედიაც, ბიზნესიც და ყველა, ვინც ელიტაში არ ჯდება. არაფერი ახალი არ მომხდარა. ამ დღეებში უფრო მეტად გაშიშვლდა საშინელი სისტემა, რომელზეც ბევრჯერ გვისაუბრია.

— ორგანიზატორების დასჯის იმედი არ გაქვთ?

— მოძალადეების ჯგუფს გამოუწერენ ჯარიმებს და ამით დამთავრდება ყველაფერი. ნიკა მელიაზე არანაირი მამხილებელი საბუთი არა აქვთ, მაგრამ მის წინააღმდეგ საქმე არ დახურულა. მის დასაკავებლად მთელი პოლკი გამოიყვანეს. 5 და 6 ივლისს მოხდა ბევრი ძალადობა. არსებობს კადრები. თუმცა, ეს არაფერს ნიშნავს. არჩევნების შემდეგ გაყალბებით აღშფოთებული ხალხი მივიდა ცესკოსთან. საკმაოდ ციოდა, პანდემია მძვინვარებდა. ხელისუფლებამ ამ ხალხს ცივი წყლის ჭავლი დაუშინა. ჩვენი სახელოვანი მედიკოსები ამას გულგრილად შეხვდნენ. ამირან გამყრელიძემ გამოაცხადა, რომ პოლიტიკურ განცხადებებს არ აკეთებს. სინამდვილეში, ძირითადად სულ პოლიტიკაშია ჩართული. როცა საქმე ეხება მოქალაქეების ჯანმრთელობას, მათთვის სიცივეში კოვიდ-ეპიდემიის დროს წყლის მიშვებას, მაშინ ხმას იკმენდს. ხელისუფლება თავისი გარემოცვით გამდიდრდა იმ დროს, როცა ადამიანები შიმშილობენ. ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველომ უზარმაზარი ვალი აიღო. სად წავიდა ეს ფული? რიგითი მოქალაქეებისთვის ეს გაუგებარია. თუმცა, ყველაფერი ნათელი ხდება, როცა გადახედავთ ელიტის სასახლეებს, აგარაკებს, ნაკვეთებსა და ბიზნესებს. ეს თანხები მიმართეს კორუფციული სქემებისაკენ. ჩვენ გვაქვს კორუფციასთან და კრიმინალთან შეზრდილი სისტემა.

— ამ დღეებში მომხდარის ფონზე პარლამენტში დაგვიანებით შესულ ოპოზიციას მოუწოდეს, დატოვოს საკანონმდებლო ორგანო. ეს შესაძლებელია?

— ჩემი პოზიცია ამაზე გემახსოვრებათ. მე წინააღმდეგი ვიყავი, რომ ოპოზიცია შესულიყო პარლამენტში. თუ ამ გადაწყვეტილებას მიიღებდა, ეს უნდა მომხდარიყო ამა წლის შემოდგომაზე, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ. ოპოზიცია შევიდოდა გამარჯვებული. ეს არ მოხდა. ახლა რომც გამოვიდნენ, ეს არასერიოზული იქნება. როცა რამეს აკეთებ, უნდა გაიაზრო. უნდა შეიმუშაო სტრატეგია და მას მიჰყვე.

— ამ დღეებში თბილისის ქუჩებში ბევრი მოქალაქე შეიკრიბა. შეიძლება თუ არა, რომ ვინმე ცდილობდეს ამ ადამიანების სახით ელექტორატის მობილიზებას?

— ამჟამად არ არსებობს პარტია, რომელიც ქვეყანაში პოლიტიკურ კლიმატს ქმნიდეს. რომ იყოს ასეთი ძალა, მაშინ ყველაფერი ერთ დინებაში მოექცეოდა და ხალხიც შესაბამისად მოიქცეოდა. ყველაფერი უნდა იყოს წინასწარ გააზრებული. როცა მოსალოდნელია წვიმა, უნდა წამოიღო ქოლგა. ყველა ძალას ეს არ ესმის.

— ვისაც უნდა სისტემის შეცვლა, რა გზავნილები უნდა ჰქონდეს?

— უნდა ვიცხოვროთ დემოკრატიულ და თავისუფალ ქვეყანაში. კანონის უზენაესობა აუცილებელია. კორუფციას სრულიად ვერ აღმოვფხვრით, მაგრამ მისი მასშტაბები უნდა შემცირდეს. რიგითი მოქალაქე კორუფციას ვერ უნდა გრძნობდეს. ტენდერების სისტემა უნდა გახდეს სამართლიანი და გამჭვირვალე. ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობისათვის გასაუმჯობესებელია კანონმდებლობა. პარტიები ხელისუფლებაში იცვლებიან, მაგრამ მათ ერთმანეთი არ უნდა მოსპონ. პარტიების ძირითადი ხაზი უცვლელი უნდა რჩებოდეს. მმართველი პარტიების შეცვლას სახელმწიფო აპარატი არ უნდა გადაჰყვეს. აპარატი უნდა რჩებოდეს. თანამშრომლებს უნდა იღებდნენ კონკურსით და არა ნეპოტიზმით. რასაკვირველია, ყურადღების ცენტრში უნდა იდგეს ტერიტორიული მთლიანობა, ასევე ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაცია.

„ნატოს მოსაცდელში ყურყუტი კიდევ დიდხანს მოგვიწევს“

სოსო ცინცაძე: „როგორ უნდა მივუკაკუნოთ ევროკავშირს, დასისხლიანებული ჟურნალისტებით?!“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი, პროფესორი სოსო ცინცაძე ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, ევროკავშირის დროშის ორჯერ ჩამოხსნის რა გზავნილი შეიძლება იყოს? თუმცა, ისიც ვნახეთ, როგორ აღმართა საკუთარი ხელით პარლამენტის თავმჯდომარემ ჩამოხსნილი დროშა.

– ეს იყო სიმბოლური აქტი კახა კუჭავას მხრიდან, მაგრამ მთავარი ეს კი არ არის, მთავარია ვინ ჩამოხია, ვინ შეურაცხყო დროშა და რატომ?! რა არის ამის მიზეზი?! სამწუხაროდ, ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ ვერ გარკვეულა საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებულ პოლიტიკურ ურთიერთობაში. რას ველოდებით ჩვენ ევროკავშირისგან და რას ელოდება ჩვენგან ევროპა. სამწუხაროდ, ჩვენი მოქალაქეები არ არიან ინფორმირებულები, რა ღირებულებაზეა საუბარი, რა სიკეთეზეა საუბარი. ცხადია, ინტელექტუალურ ელიტაზე არ ვსაუბრობ, ვსაუბრობ რიგით ქართველზე, რომელსაც ეუბნებიან, რომ ევროკავშირი არის მისი ბუნებრივი ადგილი და რომ ევროკავშირში კარგია, მაგრამ რატომ არის კარგი, არავინ უხსნის. როგორც ჩანს, ეს სამუშაო არის გასაწევი. ამაზე არავინ არ ფიქრობს. სოციოლოგიური, მეცნიერული მიდგომაა საჭირო, კვლევაა საჭირო, რა ხდება, ან რა მოხდა ჩვენ თავს? ეს კითხვები

მეცნიერულ დონეზე უნდა დაისვას. დარწმუნებული ვარ, ევროპაში ამაზე სერიოზულ კვლევას დაიწყებდნენ.

– საქართველომ, როგორც ხელისუფლება გვეუბნება, ევროკავშირში განაცხადი უნდა გააკეთოს. რა გავლენა ექნება ამ ინციდენტს?

– ეს არ არის ინციდენტი, ეს არის მომხდარი ფაქტი. ეს არის ლუსტრაცია. გამოდის, ქართველმა საზოგადოებამ საკუთარი თავის ლუსტრაცია მოახდინა. ასე იქნება აღქმული. ევროპელები არ დაიჯერებენ, რომ საქართველოში ძალიან ცოტაა რადიკალები, მარგინალები, რომლებიც შეიძლება ყველგან იყვნენ. მთლიანად ქვეყანა კი მზად არის გაევროპელობისთვის, ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრობისთვის. ამას არავინ არ დაგვიჯერებს. ყველა სკეპტიკოსს ექნება 5 ივნისის ფაქტი, როგორც მტკიცებულება.

როგორ უნდა მივუკაკუნოთ ევროკავშირს, დასისხლიანებული ჟურნალისტებით?! ჟურნალისტები, თავისი პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს, ომშიც კი დაცულები არიან და აქ რა მოხდა?!

როგორც ჩანს, ხელისუფლება, „ოცნების“ ლიდერები ვერ ხვდებიან, როდესაც აცხადებენ, რომ ამ ველურობის უკან ოპოზიციური ძალა დგას, ამით ქვეყნის საზიანო საქმეს აკეთებენ. რა ჰგონიათ, ევროკავშირი არ იკითხავს, თუ ეს პარტიამ გააკეთა, მაგალითად, „ნაციონალურმა მოძრაობამ“, რომლის უკან ლამის მილიონი ადამიანი დგას, საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში დაახლოებით ამდენმა ადამიანმა მისცა ხმა, თუ ასეთი ველურია საქართველოში მილიონი ადამიანი, რა უნდათ მათ ევროკავშირში?! მაშინ ეს არ გამოდის ერთი მუჭა მარგინალთა ჯგუფი. ამიტომ ძალიან მოზომილი და ფრთხილი განცხადებებია გასაკეთებელი, მით უფრო, ხელისუფლების მაღალჩინოსნების მხრიდან.

– რუსეთის ინტერესებს რამდენად ხედავთ და რამდენად შეიძლება იყოს 20 ივნისთან კავშირი?

– რასაკვირველია. რა თქმა უნდა, პირდაპირი კავშირია. როდესაც დღეს საუბრობენ რბილ ძალაზე, ჩვენ ოდესღაც დავმშვიდდით და ვთქვით, რომ საქართველოში არ არის მე-5 კოლონა. თუ ბალტიისპირეთში, მაგალითად, რიგის მერი რუსული პარტიის ლიდერი იყო, ჩვენთან ასეთი რამ არ ხდებოდა და ყურადღებაც მოვადუნეთ. აშკარაა, რომ რუსეთს საქართველოში იდეოლოგიური მეხუთე კოლონა გააჩნია. რუსეთს დღეს საქართველოში სერიოზული დასაყრდენი, გაცილებით ძლიერი მეხუთე კოლონა ჰყავს, ვიდრე ბალტიისპირეთში ერთი პოლიტიკური პარტია და რიგის მერი იყო.

კალისტრატე ცინცაძის ჩამომავალს ენა როგორ მომიბრუნდება ეკლესიაზე, მაგრამ ნუთუ ჩვენს ეკლესიაში რაიმე დასაყრდენი აქვს რუსეთს?! სიმართლე გითხრათ, ამაზე ფიქრიც კი არ მინდა. ასევე, შემიძლია გითხრათ ისიც, რომ უკანასკნელი მოჰიკანი ვარ, რომლის თვალწინაც ილია მეორე კომუნისტურ დიქტატურას ებრძოდა. ეს არ იყო მაშინ მარტივი საქმე.

– მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით საზოგადოების ერთი ნაწილი გამოდის იდეით, რომ საგამოძიებო კომისია შეიქმნას და გაირკვეს, რა მოხდა.

– დიახ, უნდა დადგინდეს, რა მოხდა. რამდენად ღრმად წასული პროცესია. რასთან გვაქვს საქმე. თუ დიაგნოზი არ დაისმება, ისე მკურნალობა გამორიცხულია. მე ვფიქრობ, პრობლემა ბევრად უფრო გლობალურია, ვიდრე პრაიდის ჩატარება – არ ჩატარებაა. ყველაზე სამწუხარო ისაა, რომ ამ ორმა დღემ 10-15 წლით კიდევ დაგვაშორა ევროკავშირსა და ნატოს. მოსაცდელში ყურყუტი კიდევ დიდხანს მოგვიწევს. 10-15 წლით უკან მოგვისროლეს, რაც უპატიებელი დანაშაულია სახელმწიფოს წინაშე ჩადენილი. ერთადერთი, ვინც ამ პროცესებიდან გამარჯვებული გამოვიდა, ცხადია, რუსეთია. მე კი, რომელსაც ასე ძალიან მინდა ევროპულ საქართველოში ცხოვრება, ამაზე უარი მითხრეს.

„ძვირად უნდა დაუჯდეს „ქართულ ოცნებას“ ჟურნალისტების ცემა“

პაატა ზაქარეიშვილი: „მეუფე შიომ რაც თქვა, ამას არაფერი საერთო ქრისტიანობასთან არა აქვს! დიდი სიამოვნებით დავუჯდები საჯაროდ და დაველაპარაკები ამაზე“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი კონფლიქტოლოგი, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი პასუხობს.

– ბატონო პაატა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს? განსაკუთრებით იმას, რაც ბოლო ორი დღის მანძილზე რუსთაველზე ხდებოდა. რა იყო ეს?

– ბევრი რამე იყო ერთად. ასეთ სერიოზულ მოვლენებს არა აქვს ერთი მიზეზი. რამდენიმე, 5-6 მიზეზი აქვს ხოლმე და აქაც მთელი „ბუკეტი“ იკვრება. აქ არის ასევე სხვადასხვა ჯგუფების ინტერესების დამთხვევა და ასე შემდეგ. ძალიან საშინელი, სამარცხვინო, მაგრამ ამავდროულად ძალიან საინტერესო პროცესები განხორციელდა. პირველ რიგში დაზარალდნენ ჟურნალისტები და ეს შემთხვევითი არაა და ამაზეც ვილაპარაკებთ. ამას თავისი ლოგიკური და კონცეპტუალური ახსნა აქვს. პირველ რიგში, გამოჩნდა ის, რომ ხელისუფლებამ არ იცის რა აკეთოს. არის უუნარო, ოღონდ ხელისუფლებაში დარჩეს და მზადაა თვალი დახუჭოს, მათ შორის, რეაქციულ და აგრესიულ ძალებზე.

– არ ელოდაა ამ განვითარებას, ხელიდან გაექცა სიტუაცია თუ რა მოხდა?

– როცა ჯინის ბოთლს თავს მოხდი, იქიდან ჯინი აუცილებლად ამოვა. ამათ ჰქონდათ განცდა იმისა, რომ მოდით, ამათ ვეთამაშოთ, რაღაც უფლებები მივცეთ და ამით ჩვენ ვმართოთ სიტუაცია. აგრესორების, რადიკალური ძალების მართვა შეუძლებელია. თუ დაუთმობ ერთს, მოგთხოვს ათს. სწორედ ასე იწყებდა ჰიტლერი. იწყებდა ქუჩიდან, დასდევდა ხალხს და დასდევდა ჰომოსექსუალისტებს. საბოლოო ჯამში, მთელმა მსოფლიომ ნახა, სადამდე მივიდა. ამ კატეგორიის ადამიანები არ დაკმაყოფილდებიან. გადაუგდებ ერთ ბარტყს, მერე უკვე აიძულებენ ქალებს, რომ ატარონ მხოლოდ კაბები, ატარონ თავსაფრები და სამზარეულოში იყვნენ. ისინი აუცილებლად გავლენ ბოლომდე. ამიტომ კანონის ძალით უნდა მოხდეს მათი ლოკალიზაცია. ზუსტად ასე გააკეთა ტრამპმა, როცა მან თავის გამოსვლით ხელი შეუწყო შავბნელ ძალებს, აგრესიულ და რადიკალურ ძალებს. აქაც, ხელისუფლებამ ხელი შეუწყო აი ამ კატეგორიის ადამიანების ასეთი აგრესიის გამოვლენას, ვინაიდან ეგონა, რომ მათით შეიძლებოდა სიტუაციის მართვა. მათით შენ სიტუაციას ვერ მართავ. პირიქით, ისინი შენით მართავენ სიტუაციას. როგორც კი აგრესორს მისცემ უფლებას, ის უკვე შენ გიყენებს თავისი აგრესიული გეგმების განსახორციელებლად. მე იმედი მაქვს, რომ ისინი ამას მიხვდნენ. კუჭავა მაინც მიხვდა ამას სულ ცოტა და ის სულ სხვაგვარად ლაპარაკობს.

– საკმაოდ განსხვავებული პოზიცია აქვს.

– დიახ, მას და კალაძეს. თუმცა კობახიძე და ღარიბაშვილი ჯიუტად ხედავენ ამის უკან სააკაშვილს. რაც არის ძალიან სასაცილო. გამოდის, რომ ლგბტ საზოგადოება და მათი მხარდამჭერები, ჩვენ ვიცავთ კონსტიტუციას, თანასწორობას, მათ შორის, მეც. ჩემთვის ლგბტ საზოგადოება არ არსებობს, ჩემთვის არსებობს საქართველოს საზოგადოება. საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც არიან თანასწორი და ეს წერია საქართველოს კონსტიტუციაში. ყველას უნდა ჰქონდეს თანასწორი უფლებები, ვინც არ უნდა იყოს ის. საზოგადოებისთვის მიზანმიმართულად არის ასეთი შეტყობინება, რომ თითქოს ვიღაც იცავს მხოლოდ ლგბტ საზოგადოების ინტერესებს. არა, ბატონებო, იცავენ თანასწორობის ინტერესებს. იცავენ კონსტიტუციას. ფალავანდიშვილი აკეთებდა მცდარ განცხადებებს, ათ მცნებაში არ წერია, რომ ლგბტ საზოგადოება არის მიუღებელი. იქ წერია ძალიან მკაფიოდ არა იმრუშო. მრუშობაში კი მთელი ეკლესია, ძველი და ახალი აღთქმა, განიხილავს ქალისა და მამაკაცის ურთიერთობებს. ცხვირში ძალით გვტენიან საკუთარ ვერსიებს.

– ანუ, რა იყო ეს, ძალადობა ქრისტეს და ქრისტიანობის სახელით?

– ძალიან საინტერესო და კარგი კითხვაა. თავიდან ხომ ვთქვი, რამდენიმე კომპონენტისგან შედგება ეს საკითხი-თქო, მთავარი კომპონენტი არის ხელისუფლების უპასუხისმგებლობა, მაგრამ მეორე კომპონენტი ეს არის ქრისტიანობის არ გააზრება, ვერ გააზრება, არასწორი წაკითხვა ქრისტიანობისა. გუშინდელ და გუშინწინდელ მოვლენებს რაიმე საერთო ქრისტიანობასთან არა აქვს, ქრისტეს მოძღვრებასთან არა აქვს, სახარებასთან არა აქვს! მეტიც, სცოდავენ თვითონ სასულიერო პირები, მათ შორის შიო, რომელიც თანამოსაყდრედ ითვლება და ბევრი თვლის, რომ ის არის მომავალი პატრიარქი. მეუფე შიომ თქვა ძალიან მცდარი რამ, რომ თითქოს უნდა შემოვღოთ კანონი რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისათვის. ეს კი არ ეხება არანაირად ქრისტიანობას. ქრისტიანობა სულ სხვა ცნებაა. სწორედ ეს არის ჩვენი პრობლემა, რომ არ ვმსჯელობთ ქრისტიანობაზე. რატომღაც ბევრს ჰგონია, რომ ქრისტიანობა მოცემულობაა, არა ბატონებო, ქრისტიანობა ცოცხალი ორგანიზმია და ის მუდმივად რეაგირებს რეალობას. ის რაც თქვა შიომ, ამას არაფერი საერთო ქრისტიანობასთან არა აქვს! დიდი სიამოვნებით დავუჯდები საჯაროდ და დაველაპარაკები ამაზე.

– ჟურნალისტები დაზარალდნენ ყველაზე მეტად ამ პროცესებში. რატომ, რა მოხდა, ეს იყო მიზანმიმართული შეტევა მედიაზე?

– აუცილებლად უნდა გავაანალიზოთ, ეს ერთ-ერთი წამყვანი კითხვაა. მოხდა შემდეგი: ამ ხალხმა განახორციელა ტერორი. რა იყო მათი მიზანი? მათ განახორციელეს ტერორი. ტერორისტი ხომ აშინებს საზოგადოებას, არ გაბედო და ასე არ გააკეთო. ნახეთ რა ხდება, როცა დამნაშავეს მსხვერპლი ჩამოაცლის ნიღაბს, ის

სასტიკი ხდება! რატომ ხდება სასტიკი? მიზანი ფარავდა მის ანონიმურობას და როცა ნიღაბს ჩამოხსნი, ის ხდება პერსონალიზირებული. სწორედ მედია არის ის, ვინც ნიღაბს ხსნის ამ ტერორს. მედია აჩვენებს საზოგადოებას მათ ნამდვილ სახეს. ამიტომაც, როგორც კი შენ ნიღაბს ჩამოხსნი ტერორისტს, მას შენი ცემა და შენი მოკვლაც კი უნდა. აი ეს ხდება ახლა. რატომ დაუპირისპირდნენ ასე ჟურნალისტებს და განსაკუთრებით ოპერატორებს, იმიტომ, რომ სწორედ ოპერატორები გადასცემენ საზოგადოებას მათ რეალურ სახეებს. ესენი ხომ ლაჩრები არიან, მათ ეშინიათ თავის თავის. ეს არის ბანდა, კოლექტიური ქმედებები აქვთ, ცალ-ცალკე არაფრის მაქნისნი არ არიან.

– ძალიან საშიში საზოგადოება ვიხილეთ რუსთაველზეო. ასეა?

– რა თქმა უნდა და ამას ხელი შეუწყო ღარიბაშვილის განცხადებამ, რომ იტყვიან, ღარიბაშვილმა აკურთხა, უფლება მისცა, გაეკეთებინათ ის, რაც გააკეთეს.

– ბევრმა დაადანაშაულა ღარიბაშვილი, მწვანე აუნთო მოძალადეებსო.

– რა თქმა უნდა, მწვანე აუნთო. ძალიან სამარცხვინო რამ მოხდა. მოძალადეებს უნდა ვეფეროთ? შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე უნდა ვეძახოთ, არიქა, ესენი არ გაღიზიანდნენ? ოღონდ არ მოგვიხტნენ და არ გვცემონ?! ეს არის საშინელი, სამარცხვინო დამოკიდებულება, ოღონდ მოძალადე არ გავაღიზიანო და მზადა ვარ, თავზე დავიხიო კონსტიტუცია. თუ სურვილი აქვთ, დადგნენ სხვა ადგილას, სხვა ქუჩაზე და თავადაც გააპროტესტონ, მათ უფლება არა აქვთ ძალადობა განახორციელონ. ეს ყველაფერი კი უნდა უზრუნველყოს ხელისუფლებამ. ისინი რომ ძალადობას ახორციელებენ, ამაში დამნაშავე მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლებაა. ყველაფერი მოგვარებადია, თუ ხელისუფლება თავის ადგილზეა.

– საკმაოდ საშიში ინციდენტი მოხდა, ანუ გამოდის, რომ ასეთი ძალადობით ყოველთვის შეუძლიათ მიზანს მიაღწიონ?

– ძალიან სასტიკები არიან, ანუ ისინი გრძნობენ, რომ მათი ბოლო დღეებია და თუ არა დღეს, ხვალ უკვე გვიან იქნება. ანუ ისინი გრძნობენ, რომ საქართველოში ვითარება იცვლება მათთვის არასახარბიელოდ. ამიტომ ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი შეტყობინება, ადამიანი სასტიკია მაშინ, როდესაც ის არის სუსტი, როცა სხვა გამოსავალი არა აქვს. როდესაც ასეთი სასტიკები არიან, ეს ნიშნავს იმას, რომ თავადაც არ სჯერათ თავისი სიმართლის.

– თუნდაც მდუმარე აქციის მიმართ რამხელა აგრესია გამოხატეს...

– ძალიან სწორი გადაწყვეტილება იყო მდუმარე აქცია. ამით უფრო მეტად გამოვლინდა მათი უკულმართობა, მათი სიბნელე, მათი ანტიქრისტიანობა. მათ საბოლოოდ ჩამოხსნა ნიღაბი ამ მდუმარე, უწყინარმა აქციამ. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია, ჭკუა უნდა ეყოს ხელისუფლებას, რომ გახდეს ხელისუფალი. მხოლოდ ხელისუფლებას აქვს ლეგიტიმური უფლება, განახორციელოს ძალადობა მხოლოდ ძალადობის წინააღმდეგ და მან ეს არ გამოიყენა ამ დღეებში.

– შეეძლო ძალა გამოეყენებინაო. რატომ იყო ასეთი ლმობიერი? სულ იყო მოწოდება გამოიყვანეთ სპეცრაზმი, მაგრამ ეს არ გააკეთეს, რატომ? დაკავებულებსაც ჯარიმებით უშვებენ.

– ეს დაკავებული ხალხი, აუცილებლად, არჩევნებამდე ციხეში უნდა იყოს, ის ვინც ძალადობა განახორციელა. თუ არჩევნებამდე გამოუშვეს, ეს იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლებამ მათ დაუთმო ძალაუფლება. ეს ძალიან ცუდი ნიშანი იქნება. იმედია საზოგადოება ამას შეაფასებს შესაბამისად და ხმას არ მისცემს ასეთ ხელისუფალს. მათი გარეთ გამოშვება ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლებას მათი შეეშინდა. როგორც კი ძალადობას უთმობ, ის უფრო ძლიერდება.

– მოვლენების რა განვითარებას ელით, რამდენად შეილახა დასავლეთში ჩვენი იმიჯი?

– ჯერ ერთი, დასავლეთში ჩვენი იმიჯი შელახულია არჩევნების შემდეგ. დასავლეთი კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ საქართველოს არაფერი არ ეშველება. საჭიროა ან მეტი ძალისხმევა, ან საბოლოოდ მიტოვება. იმედია მეტ ძალისხმევაზე წავლენ. ამ ეტაპზე ევროპა ჩვენს მხარესაა, ისინი ხედავენ, რომ ახლა არ შეიძლება საქართველოს მიტოვება. არჩევნები მოდის, ხელისუფლებას ძალიან ეშინია არჩევნების, ეშინია ძალაუფლების დაკარგვის და მოძალადეებს კოჭს უგორებს. კიდევ უფრო საინტერესო არჩევნები გველის. საზოგადოებამ თავის სათქმელი უნდა თქვას. ძვირად უნდა დაუსვას „ქართულ ოცნებას“ გუშინდელი და გუშინწინდელი საქციელი.

საქართველოში მიწისძვრა მოხდა



საქართველოში მიწისძვრა მოხდა. დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრის ცნობით, დღეს, თბილისის დროით 22:20 საათზე, დმანისიდან სამხრეთ-დასავლეთით 26 კმ-ში, სოფელ სამებასთან 3.0 მაგნიტუდის სიდიდის მიწისძვრა მოხდა.

ბადრი გავაშელიშვილი: „უგულავამ თვალში მუშტი მომარტყა, მე ხელი ვკარი, ვიჭიდავეთ და წავიქეცი“

– დავინახე, რომ გიგი უგულავა და დავით პარკაძე ერთმანეთს შეურაცხყოფას აყენებდნენ, რის შემდეგაც ჩავდექი შუაში, ვერ ვხვდებოდი, რატომ აგინებდნენ ერთმანეთს. ამ დროს მუშტი მოიქნია გიგი უგულავამ და მომარტყა თვალში.

ამის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოში ე.წ. აეროპორტის ინციდენტის საქმეში დაზარალებულად ცნობილმა ძიუდოისტმა ბადრი გავაშელიშვილმა განაცხადა.

გავაშელიშვილის ინფორმაციით, 2019 წლის 11 დეკემბერს თბილისის აეროპორტში მის მეგობარ დავით პარკაძესთან ერთად მივიდა და ერთერთ კაფეში შესვლის შემდეგ დაინახა, როგორ აყენებდნენ უგულავა და პარკაძე სიტყვიერ შეურაცხყოფას ერთმანეთს, რის შემდეგაც დაპირისპირება მოხდა.

– 2019 წლის 11 დეკემბერს მე და ჩემი მეგობარი დავით პარკაძე მივემგზავრებოდით უკრაინაში, დაახლოებით 23:00 საათზე მივედით აეროპორტში. მეორე სართულზე ველოდებოდით გაფრენას. რამდენიმე წუთი გვქონდა დრო და ჩემმა მეგობარმა მთხოვა, კაფეში შევსულიყავით. შესვლისთანავე შემომესმა შეურაცხმყოფელი ხმაური, დავინახე, რომ გიგი უგულავა და დავით პარკაძე ერთმანეთს შეურაცხყოფას აყენებდნენ, რის შემდეგაც ჩავდექი შუაში, ვერ ვხვდებოდი, რატომ აგინებდნენ ერთმანეთს. ამ დროს მუშტი მოიქნია გიგი უგულავამ და მომარტყა თვალში, მე ხელი ვკარი და მოგერიების მიზნით მოვიშორე თავიდან, ცალკე ჩემს მეგობარს ვაშველებდი, რამდენჯერმე ხელი მომიქნიეს და მომარტყეს, ვიჭიდავეთ და წავიქეცით, როდესაც მოვიდა პოლიცია და გამოგვიყვანეს, – აღნიშნა ბადრი გავაშელიშვილმა.

მისივე თქმით, არ აქვს სურვილი, რომ უგულავას ამ საქმის დასრულების შემდეგ რაიმე ზიანი მიადგეს და მის ამნისტირებაზე თანახმაა.

– არანაირი სურვილი არ მაქვს, რომ მას ამ ინციდენტიდან გამომდინარე ზიანი მიადგეს. ჩემი მხრიდან ამნისტიასთან დაკავშირებით არანაირი პრეტენზიები არ არის, – აღნიშნა გავაშელიშვილმა.

სხდომაზე გავაშელიშვილსა და უგულავას შორის სიტყვიერი დაპირისპირება მოხდა.

ბადრი გავაშელიშვილის გაღიზიანება უგულავას ადვოკატის დასმულმა კითხვამ გამოიწვია, რომელიც „უგულავას დარტყმის შედეგად“ მიღებულ ფიზიკურ და მორალურ ზიანს შეეხებოდა.

– შენ ადვოკატი ხარ თუ ჟურნალისტი, „მეიაზვები“ თუ რას შვები?! – მიმართა გავაშელიშვილმა ადვოკატს, რაზეც უგულავამ გავაშელიშვილს განუცხადა, რომ სასამართლოს თავისი ენა აქვს და კორექტულად უნდა ესაუბრა.

– ბატონო მოსამართლევ, ეს რა ტონში გვესაუბრება? სასამართლოს აქვს თავისი ენა და აქ ჩვენ ვსაუბრობთ თქვენობით, შენობით ქვიშის კარიერში ელაპარაკე, ვისთანაც გაგდის, აქ სასამართლოა. ქვიშის კარიერში, რომელიც შენ გაჩუქეს, რაც ჩაიდინე, იმისთვის. ზუსტად ვიცი, რომ ჩვეულებრივი „ზონდერი“ ხარ. ხომ ხარ დაზარალებული, ხომ გცემე, უთავმოყვარეო ხარ, ჰოდა „დავაი“, კუდამოძუებულმა „დაახვიე“ აქედან. უზრდელი ბრძანდები, მოგზავნილი ლაქია ხარ, – მიმართა უგულავამ ბადრი გავაშელიშვილს.

თავის მხრივ, დაზარალებულმა უგულავას მიმართა, რომ მასთან ნორმალურად ესაუბრა და სცოდნოდა, ვის ელაპარაკებოდა.

– შენ „დაახვიე“, ცოტა ნორმალურად მელაპარაკე, იცოდე, ვის ელაპარაკები, ეტყობა, ვიღაცაში გეშლები, ახვარო შენ, – განაცხადა ბადრი გავაშელიშვილმა.

ამ ინციდენტის შემდეგ მოსამართლემ სასამართლო სხდომა დასრულებულად გამოაცხადა.

უგულავამ განაცხადა, რომ ამ საქმეში მონაწილეობა დაასრულა.

„ამით მე დავასრულე ამ ეპიზოდის ბადრი-საბა გავაშელიშვილის ნაწილი. მალე მოვა დრო და ის მოყვება, ვინ რა და როგორ დაავალა. ეს მერე. ახლა ჩემი მიზანი იყო საზოგადოების წინაშე გამომეთრია და მეჩვენებინა, რომ ამ „ორკების“ და 5 ივლისს ადამიანების დასაკბენად გამოშვებული აპოკალიპტური მხეცის არავის ეშინია. ისინი აი ასე გარბიან.

თქვენ კი ჩემო ბადრი-საბა, ჩემგან თქვენ თავისუფალი ხართ. მე თქვენ აღარ მაინტერესებთ. დანარჩენი ღმერთმა გაპატიოთ. დავასრულე ასევე ამ სასამართლო ფარსშიც მონაწილეობა. მოსამართლემაც ნახა, თუ დანახვა უნდა, უდავოდ ვუცნოთ აწი ყველაფერი, გავიდეს მოსამართლე სათათბიროდ“, – დაწერა გიგი უგულავამ.

შს მინისტრის მოადგილე: „სიცრუეა, რომ უცხოელი ტურისტის დაჭრა პრაიდს უკავშირდება“

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის, ალექსანდრე დარახველიძის განცხადებით, უცხოელი ტურისტის დაჭრა „პრაიდს“ არ უკავშირდება და ეს შემთხვევა საყოფაცხოვრებო ნიადაგზე მოხდა.

მისი თქმით, ფაქტთან დაკავშირებით დაკავებულია ბრალდებული და ჩატარდება შესაბამისი ექსპერტიზა.

– ტურისტთან დაკავშირებით მოგახსენებთ – აღნიშნული ფაქტი მოხდა სრულიად დამოუკიდებლად – ეს მოხდა ხეთაგუროვის ქუჩაზე, სადაც, როგორც ჩვენთვის ცნობილია და დედამაც გააკეთა განცხადება, ფსიქიკურად დაავადებული ადამიანი თავს დაესხა უცხოელ ტურისტს.

არანაირი კავშირი ამ ფაქტს იმ ფაქტებთან არ აქვს, რაზეც საუბარი იყო, რომ ეს პრაიდს უკავშირდება, ეს სიცრუეა. არანაირ დაპირისპირებას ადგილი არ ჰქონია იქ, მიეჭრა ეს კონკრეტული პირი. ფაქტი მოხდა სულ სხვა ლოკაციაზე, სულ სხვა ადგილას. ჩვენ დაწყებული გვაქვს გამოძიება, დაკავებულია, იცით, ეს პირი, ჩატარდება შესაბამისი ექსპერტიზა და გვეცოდინება საბოლოო პასუხი, – განაცხადა ალექსანდრე დარახველიძემ.

მისივე თქმით, 5 ივლისს, როდესაც პრაიდის მოწინააღმდეგეები მედიის წარმომადგენლებს ფიზიკურად გაუსწორდნენ, ქალაქის მასშტაბით 3.200-მდე სამართალდამცველი იყო მობილიზებული. მისი განმარტებით, პოლიციის თანამშრომლები გადანაწილებულები იყვნენ სხვადასხვა ტერიტორიაზე, იქ, სადაც შეკრებილები იყვნენ კონტრდემონსტრანტები: დედაენის პარკში, ქაშუეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, რუსთაველის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე, ასევე ფილარმონიასთან.

დამატებით გამოყვანილი იყო სპეციალური დანიშნულების ძალები, რომლებიც სარეზერვო ძალებს წარმოადგენდნენ და საჭიროების შემთხვევაში მოახდენდნენ შესაბამის რეაგირებას.

მისივე განმარტებით, რუსთაველის გამზირზე მობილიზებული იყო იმ რაოდენობის საპოლიციო ძალა, რომელიც საკმარისი იყო დაანონსებული აქციის სამართავად, თუმცა, მას შემდეგ, რაც კონტრდემონსტრანტები აგრესიულები გახდნენ, მოხდა დამატებითი საპოლიციო ძალების მობილიზება.

– ფაქტობრივად, იმ დღეს მთელი საპოლიციო ძალა, რაც ჰყავდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მობილიზებული, გაიშალა მთელი ქალაქის მასშტაბით. ის ძალა, რისი მობილიზებაც განახორციელა პოლიციამ 5 ივლისს, მთლიანად დასჭირდა სხვადასხვა ლოკაციაზე არსებული ჯგუფების განეიტრალებას და მათ მიმართ შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელებას, – განაცხადა დარახველიძემ.

სპეცოპერაცია გორში — დააკავეს თაზო რიკრიკაძე და 4 პირი

შსს-მ გორში, რიკრიკაძეების ოჯახში სპეცოპერაცია ჩაატარა.

დაკავებულია თაზო რიკრიკაძე, რომელსაც პოლიციელზე თავდასხმას ედავებიან. მას ბრალი უკვე წარედგინა,

თაზო რიკრიკაძე შს მინისტრის ყოფილი მოადგილის, კახა საბანაძის ნათესავია. ინციდენტი კი, როდესაც მან პოლიციელს სცემა, 2018 წელს, რესტორან ნაჭარმაგევში მოხდა.

პროკურატურის მტკიცებით, თაზო რიკრიკაძე 4 პირთან ერთად თავს დაესხა პოლიციის თანამშრომელს და მას ჯანმრთელობისთვის ნაკლებად მძიმე დაზიანებები მიაყენა. რიკრიკაძის ოჯახის წევრები აცხადებენ, რომ დაკავება მას შემდეგ მოხდა, რაც გახარიას ახლო მეგობარმა, კახა საბანაძემ, თანამდებობა დატოვა და ექსპრემიერის გუნდს შეუერთდა.

სასამართლომ თაზო რიკრიკაძეს გირაო შეუფარდა. გირაო შეეფარდა თაზო რიკრიკაძესთან ერთად დაკავებულ ოთხივე პირსაც.

თაზო რიკრიკაძეს 7-დან 11 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

დაკავებული ზურაბ რიკრიკაძის, იგივე „ტრუტის“ ძმისშვილია, რომელიც გორში 1 თვის წინ ჩაცხრილეს.

ივნისში უკანონოდ ტყით სარგებლობის 209 ფაქტი გამოვლინდა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, 2021 წლის 1 ივნისიდან 30 ივნისის ჩათვლით, ხე-ტყის უკანონო მოპოვებისა და ტრანსპორტირების 209 ფაქტი გამოავლინეს, მათ შორის 11 ფაქტი სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავს. ინფორმაციას გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ავრცელებს.

„ხე-ტყის უკანონო მოპოვებისა და ტრანსპორტირების ყველაზე მეტი – 62 ფაქტი გამოვლინდა კახეთის რეგიონული სამმართველოს სამოქმედო ტერიტორიაზე. აჭარაში დაფიქსირდა 27 ფაქტი, ქვემო ქართლში – 25, სამცხე-ჯავახეთში – 23, სამეგრელო-ზემო სვანეთში – 22, იმერეთში – 19, შიდა ქართლში – 16, გურიაში – 11, რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთში – 2 და მცხეთა-მთიანეთშიც 2 სამართალდარღვევა გამოვლინდა.

ჯამში, ამოღებულია უკანონოდ მოპოვებული 812 კუბურ მეტრამდე ხე-ტყე.

ამავე პერიოდში, დაფიქსირდა სახერხი საამქროს ტექნიკური რეგლამენტის დარღვევის 43 ფაქტი. ასევე, ამოღებულია 3 ერთეული არარეგისტრირებული სახერხი საამქრო.

მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით შესაბამის უწყებებში გადაიგზავნა“ – ნათქვამია დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

მალხაზ მაჩალიკაშვილი გაათავისუფლეს



პარლამენტის შენობის წინ აქციაზე ადმინისტრაციული წესით დაკავებული მალხაზ მაჩალიკაშვილის სასამართლო პროცესი გადაიდო.

დაცვის მხარემ პროცესზე შუამდგომლობა დააყენა საქმის არსებითი განხილვის გადადებასთან დაკავშირებით, რაც მოსამართლემ დააკმაყოფილა და მაჩალიკაშვილი დარბაზიდან გაათავისუფლა.

საქმეზე შემდეგი სასამართლო პროცესი 23 ივლისს ჩაინიშნა.

მალხაზ მაჩალიკაშვილი, რომელსაც დაუმორჩილებლობას, წვრილმან ხულიგნობას და ცივი იარაღის ტარებას ედავებიან, აცხადებს, რომ დანას საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის იყენებს.

– მე ვარ ქუჩაში და ვცხოვრობ კარავში. იარაღი, თუ მას ცივ იარაღს ვეძახით, საჭიროა, რადგან პურის დასაჭრელადაა საჭირო, – განაცხადა მაჩალიკაშვილმა.

მისი ადვოკატი მარიამ პატარიძე აცხადებს, რომ მაჩალიკაშვილის დაკავების საფუძველი არის უკანონო და აბსურდული.

– როგორც პოლიციის თანამშრომლებმა აღნიშნეს, მაჩალიკაშვილი დააკავეს სამი საფუძვლით, სამივე არის აბსურდული, უკანონო და დაუსაბუთებელი. თითქოს მაჩალიკაშვილი არ ემორჩილებოდა პოლიციის მოთხოვნას, არღვევდა საზოგადოებრივ წესრიგს და ასევე ედავებიან ცივი იარაღის ტარებას.

სხდომა გადაიდო გამომდინარე იქედან, რომ დაცვის მხარე საჭიროებს საქმის მასალების სრულად გაცნობას და საპასუხო დოკუმენტაციის, მტკიცებულებების მოპოვებას და წარდგენას. ამ საფუძვლით გადაიდო პროცესი, – განაცხადა ადვოკატმა.

ჟურნალისტებისადმი ძალადობის ფაქტზე ბრალდებული 3 პირის მიმართ პროკურატურამ პატიმრობა მოითხოვა

რუსთაველის გამზირზე გამართულ აქციაზე მედიასაშუალებების წარმომადგენლების მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობისა და პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე ბრალდებული 3 პირის მიმართ პროკურატურამ პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით სასამართლოს მიმართა.

როგორც საქმის პროკურორმა ლევან ვეფხვაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, საქმეზე მოპოვებულია მტკიცებულებები და გამოძიება ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს.

– ბრალდების მხარემ კანონით დადგენილ ვადაში მიმართა სასამართლოს სამივე დაკავებული ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით. ბრალდება, რა თქმა უნდა, სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლია, რაც ძალადობას გულისხმობს, რამაც გამოიწვია რბევა და ჯგუფური ძალადობა, ასევე დევნა პროფესიული ნიშნით, ჩადენილი ძალადობის მუქარით და ასევე ჟურნალისტური საქმიანობისადმი ხელისშეშლა ჩადენილი ძალადობის მუქარით.

ბრალდების მხარეს თავის შუამდგომლობაში დასაბუთებული აქვს სამივე ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება, ვინაიდან ბრალდების მხარეს მიაჩნია, რომ პატიმრობა უნდა იყოს გამოყენებული, ვინაიდან ამის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები არსებობს.

ამ დროისთვის გამოკითხულია ათეულობით მოწმე, გვაქვს დათვალიერების, ჩხრეკის ოქმები, ასევე სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია და მტკიცებულებები. რაც შეეხება კონკრეტულ ეპიზოდს, ამ ეტაპზე პროკურატურას 23 დაზარალებული ჰყავს ცნობილი, ყველა ამ ეპიზოდთან დაკავშირებით, ბრალი 3 პირს აქვს წარდგენილი, მაგრამ აქტიური საგამოძიებო მოქმედებები გრძელდება.

ყველა ეპიზოდში, სადაც ძალადობა, ძალადობის მუქარა იყო, გამოძიება აქტიურ ფაზაშია, – განაცხადა ვეფხვაძემ.

გამოძიების ინფორმაციით, დაკავებულებმა ტელეკომპანია „რუსთავის 2“-ის, „მთავარი არხის“, „ტაბულას“ და საინფორმაციო სააგენტო „ნიუპოსტის“ წარმომადგენლებს, „თბილისი პრაიდის“ საწინააღმდეგოდ გამართული აქციის მიმდინარეობის დროს, სხვადასხვა ტერიტორიაზე ძალადობით და ძალადობის მუქარით ხელი შეუშალეს ჟურნალისტურ საქმიანობაში და მიაყენეს ფიზიკური დაზიანება.

გამოძიება 154-ე მუხლის მეორე ნაწილით და 126-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გრძელდება.

რუსთაველზე აქციაზე პოლიციამ 100 პირი დააკავა

6 ივლისს რუსთაველის გამზირზე გამართული აქციის დროს პოლიციამ 100 პირი დაკავა. ამის შესახებ ინფორმაციას შსს ავრცელებს. უწყების ინფორმაციით, აღნიშნული პირების ქმედება გასცდა მშვიდობიანი შეკრების და გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს. დაკავებული პირებიდან 68 ხელწერილის საფუძველზე უკვე გათავისუფლდა, ხოლო 32 ადამიანი ამ დრომდე დროებითი მოთავსების იზოლატორში რჩება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ გამოვლენილ სამართალდარღვევის ფაქტებზე, ამ ეტაპზე, ადმინისტრაციული წესით დაკავებულია 100 პირი. დაკავებული პირებიდან 68 გათავისუფლებულია ხელწერილის საფუძველზე, 32 პირი რჩება დროებითი მოთავსების იზოლატორში, – წერია შსს განცხადებაში.

გომელაურის უწყების ინფორმაციით, ბრალდებულის სახით ამავე აქციაზე დაკავებულია ორი პირი.

საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიერ ბრალდებულის სახით ადგილზევე დაკავებულია 2 პირი.

„1989 წელს დაბადებული ი. ყ. დაკავებულია „პალიტრა ნიუსის“ ოპერატორის მიმართ ძალადობისა და პროფესიული საქმიანობის უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 126-ე მუხლებით გრძელდება.

რაც შეეხება ბრალდებულის სახით დაკავებულ მეორე პირს – 1965 წელს დაბადებულმა გ.შ.-მ საპატრულო პოლიციის ავტომანქანის გვერდითი საქარე მინა დააზიანა. გამოძიება სხვისი ნივთის განზრახ დაზიანების ფაქტზე სსკ-ის 187-ე მუხლით მიმდინარეობს“, – ნათქვამია უწყების განცხადებაში.

საერთაშორისო

ერაყში აშშ-ის სამხედრო ბაზას 14 რაკეტა ესროლეს

2 ადამიანი დაშავდა

ერაყში, აშშ-ის სამხედრო ბაზის წინააღმდეგ განხორციელებული სარაკეტო თავდასხმის შედეგად 2 ადამიანი დაშავდა.

ერაყის დასავლეთ ნაწილში მდებარე ავიაბაზასა და მის პერიმეტრზე სულ მცირე 14 რაკეტა დაეცა.

მომხდარზე პასუხისმგებლობა ჯერჯერობით არავის აუღია.

ირანის მიერ მხარდაჭერილმა ერაყის გასამხედროებულმა დაჯგუფებებმა რამდენიმე დღის წინ სამაგიეროს გადახდის პირობა დადეს მას შემდეგ, რაც აშშ-ის მიერ ერაყი-სირიის საზღვარზე განხორციელებულ ავიაიერიშს მათი 4 წევრი ემსხვერპლა.

რუსეთში ესტონეთის კონსული დააკავეს

რუსეთის დაზვერვის სამსახურის თანამშრომლებმა სანკტ-პეტერბურგში ესტონეთის კონსული დააკავეს.

რუსეთის უშიშროების ფედერალურ სამსახურში აცხადებენ, რომ ისინი მარტ ლიატეს რუსეთის მოქალაქისგან საიდუმლო ინფორმაციის მიღებაში ადანაშაულებენ.

„რუსეთის უშიშროების ფედერალურმა სამსახურმა სანკტ-პეტერბურგში დააკავა ესტონელი დიპლომატი – ესტონეთის რესპუბლიკის გენერალური საკონსულოს კონსული პეტერბურგში მარტ ლიატე მაშინ, როდესაც მას რუსეთის მოქალაქე საიდუმლო მასალებს აწვდიდა“ – აცხადებენ ფსბ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში.

მათი მტკიცებით, აღნიშნული საქმიანობა არ შეესაბამება დიპლომატის სტატუსს და რუსეთის ფედერაციის მიმართ მკაფიო მტრული ხასიათი აქვს.

მომხდარს ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში გამოეხმაურნენ. უწყების პრესსპიკერის განცხადებით, დიპლომატის დაპატიმრებამ კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ რუსეთი ირჩევს დაპირისპირებას ევროკავშირის ქვეყნებთან, ნაცვლად იმისა, რომ შეცვალოს ნეგატიური ტენდენცია მათთან ურთიერთობაში.

მან მოსკოვის ბრალდებებს უსაფუძვლო უწოდა.

ჰაიტის პრეზიდენტი და მისი ცოლი მოკლეს

ჰაიტის პრეზიდენტი ჟოვენელ მოიზი და მისი ცოლი მარტინა მოკლეს.

ამის შესახებ განცხადება ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა კლოდ ჟოზეფმა გააკეთა.

– 7 ივლისს, ღამის 1 საათზე, უცნობი პირების ჯგუფმა, რომელიც ინგლისურ და ესპანურ ენებზე ლაპარაკობდა, განახორციელა თავდასხმა პრეზიდენტის რეზიდენციაზე და მოკლა პრეზიდენტი, – განაცხადა მან.

თავდასხმის შედეგად დაიჭრა პრეზიდენტის მეუღლე, რომელიც კლინიკაში გარდაიცვალა.

პრემიერმა ჟოზეფმა პრეზიდენტის მოვალეობების შესრულება საკუთარ თავზე აიღო და ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა.

ჰაიტის ხელისუფლებამ დაკეტა საზღვარი მეზობელ დომინიკის რესპუბლიკასთან.

53 წლის ჟოვენელ მოიზი პრეზიდენტი 2017 წლის თებერვალს გახდა.

მან ეს პოსტი პრეზიდენტ მიშელ მარტელის გადადგომის შემდეგ დაიკავა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ჯალეიდოსკოპი

სხვის სახლში შეპარული ქურდი ტანსაცმლის გარეცხვის გამო ჩავარდა

ინგლისის საუტ-იორკშირის საგრაფოს ქალაქ შეფილდში ქურდმა სახლი გაძარცვა და იმის გამო ჩავარდა, რომ ჭუჭყიანი ტანსაცმელი დაზარალებულის სარეცხ მანქანაში დატოვა.

45 წლის ტერი ჰიტლიმ უკანონოდ შეაღწია მეზობლების სახლში, რომლებიც კორონავირუსის პანდემიის გამო სხვაგან იმყოფებოდნენ თვითიზოლაციაში.

ჰიტლის ნადავლი აღმოჩნდა ნიუთბუქი, მანქანის მართვის მოწმობა და ოჯახის სხვა საბუთები. მან გადაწყვიტა, თავისი ტანსაცმელი გაქურდულ სახლში გაერეცხა და ამისთვის ის სარეცხ მანქანაში შეყარა, თუმცა რაღაცამ დააფრთხო და სახლის სასწრაფოდ დატოვება მოუხდა.

სახლის პატრონებმა თვითიზოლაციიდან დაბრუნებისთანავე მიმართეს პოლიციას. ჰიტლის მიგნება დნმ-ის ნიმუშის წყალობით მოხერხდა, რომელიც მან საკუთარ ნივთებზე დატოვა. ამით ასევე გაირკვა, რომ პირველი სახლის გაქურდვიდან ორ თვეში მან კიდევ ერთი სახლი გაქურდა.

სასამართლოზე ჰიტლმა დანაშაული აღიარა და ერთი წლით პატიმრობა მიესაჯა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სპორტი

ტორპედო სპონსორს ელოდება, სპონსორი – ტორპედოს

ქუთაისის ტორპედოს ცუდი დროება უდგას. გუნდში ფინანსური პრობლემებია და ეროვნული ლიგის ბოლო ტურში საბურთალოსთან სათამაშოდ თბილისში უწვერული ბავშვებით ჩავიდა.

საქართველოში ტიტულებით მე-2 გუნდს ეს ამბავი უკვე მე-3 სეზონია თან სდევს. ჯერ იყო და ტორპედო ზაალ ჩაჩავამ მიაგდო შუა სეზონში, მერე იტალიელ ინვესტორ ფაბრიციო მანინოს მოუწია მიტოვება. თუმცა, მანინომ გუნდი კი მიატოვა, მაგრამ ქალაქის მერიას პირობების შეუსრულებლობისთვის მილიონნახევარ ლარს სთხოვს. იმ ფულს, რომელიც დახარჯა. ცალკე გუნდი უფულოდ არის და ფეხბურთელებისთვის 3 თვის ხელფასები აქვს დასარიგებელი.

ამ ყველაფრის მოგვარებას, პლუს 20 მილიონი დოლარის ინვესტიციის ჩადებას კი, ტორპედოში ალიანს ჯგუფი ჰოლდინგი აპირებს. თუმცა, იქამდე ყველაფერი დასალაგებელია.

კომპანია 2002 წელს არის დაარსებული და მისი დამფუძნებელი აიეტ კუკავაა. ჰოლდინგს საკმაოდ სერიოზული და მრავალი დარგის მომცველი საქმიანობა აქვს გაშლილი და წარმატებულ პროცესს ქუთაისის „ტორპედოსთან“ დაკავშირებით აპირებს.

საფეხბურთო კლუბ ტორპედოში ინვესტირების მთავარი მიზნებია:

კლუბმა დაძლიოს მიმდინარე კრიზისი და 1-2 წელიწადში დაიბრუნოს საჩემპიონო ამბიციები;

უახლოეს 3-6 წლის განმავლობაში აღმოსავლეთ ევროპის პირველ ათეულში შევიდეს;

რეგულარულად მიიღოს მონაწილეობა ევროპულ საკლუბო ტურნირებში;

საქართველოს საფეხბურთო ინფრასტრუქტურაში მოზიდული იყოს ათეულობით მილიონი, რათა ქვეყანა გახდეს რეგიონის საფეხბურთო და სხვა სპორტული სახეობებისა და სპორტული ტურიზმის ცენტრი;

ტორპედოს პროექტებში ჯამური ინვესტიციების მინიმალური მოცულობა უახლოესი 5 წლის მანძილზე იყოს 20 მილიონი დოლარი;

რა უშლის ხელს? ის, რომ ტორპედოს გადაცემა დროის ამბავია, ჰოლდინგს კი, დროის დეფიციტი აქვს, რადგან სანამ ბიუროკრატიული დეტალები მოგვარდება, ტორპედო, შესაძლოა, ეროვნულ ლიგა 2-ში ვიხილოთ.

საქართველო სამხრეთ აფრიკიდან ნაკლული ტესტით ბრუნდება

საქართველოს მორაბგეთა ნაკრები სამხრეთ აფრიკიდან შინ ვადაზე ადრე ბრუნდება. 9 ივლისს „ბორჯღალოსნებსა“ და „სპრინგბოქსს“ შორის გასამართი სერიის მეორე მატჩი კოვიდ 19-ის გამო გაუქმდა.

გეგმიურმა კოვიდ-ტესტირებამ ორივე ნაკრების ბანაკში ვირუსის არსებობა დააფიქსირა. პროტოკოლიდან გამომდინარე, რომელიც მოთამაშეთა უსაფრთხოებას ემსახურება, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება და იოჰანესბურგში თამაში აღარ შედგება.

დადასტურებული ინფორმაციით, სამხრეთაფრიკელთა ბანაკში კორონავირუსი 11 ადამიანს დაუდასტურდა, ხოლო „ბორჯღალოსნებში“ 3 მორაგბე და 1 მწვრთნელია ინფიცირებული.

ინფიცირებულების ჯანმრთელობაზე ნაკრების სამედიცინო პერსონალი ზრუნავს და მათ მდგომარეობაზე დაკვირვება 24-საათიან რეჟიმში ხორციელდება.

საქართველოს ნაკრებს მორიგი ტესტ-მატჩი 17 ივლისს შოტლანდიასთან ელოდება, თუ ისიც არ ჩაიშალა. საქმე აქაც კორონავირუსს ეხება...

შედეგები

6 ივლისი

ფეხბურთი

ევროპა 2020

იტალია-ესპანეთი ..... 1:1(4:2პ)

ხოპა ამერიკა

არგენტინა-კოლუმბია ..... 1:1(3:2პ)

ჩემპიონთა ლიგა

საკვალიფიკაციო ეტაპი

ფერენცვაროში-პრიშტინა 3:0
ფლორა-ჰიბერნიანსი 2:0
ჰიკი-ბუდუჩნოსტი 3:1
ჟალგირისი-ლინფილდი 3:1
კლუჟი-ბორაცი 3:1
ფოლა-ლინკოლნი 2:2
შკენდია-მურა 0:1

ჩოგბურთი

უიმბლდონი

კაცები

ჰურკაჩი-მედვედევი 2:6,7:6,3:6,6:3,6:3

ქალები

პლიშკოვა-გოლუბიჩი 6:2,6:2
ჟაბერი-სობოლენკო 4:6,3:6
მუხოვა-კერბერი 2:6,3:6
ბარტი-ტომლიანოვიჩი 6:1,6:3

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯალეიდოსკოპი

მამაკაცი ქალს ქუჩაში თავს დაესხა და ხელები შორტებში ჩაუყო

ნიუ იორკში მამაკაცი დღისით თავს დაესხა 35 წლის ქალს, რათა შემდეგ ხელები მის სპორტულ შორტებში ჩაეყო. აღნიშნული ინციდენტი დაახლოებით საღამოს რვა საათზე ბრუკლინში, ისტ-უილიამსბერგის რაიონში მოხდა.

შემთხვევის ადგილზე გადაღებული ვიდეო ნიუ იორკის პოლიციის დეპარტამენტმა ტვიტერში გამოაქვეყნა. თავდასხმამდე მცირე ხნით ადრე დაზარალებულმა შენიშნა, რომ მამაკაცი ჰყავდა ადევნებული და მარშრუტი შეცვალა, თუმცა მამაკაცი მაინც არ მოეშვა. კადრებში ჩანს, რომ ქალი შეჩერდა, რათა ადევნებული უცნობი მამაკაცი წინ გაეშვა. თუმცა გარკვეული დროის შემდეგ მამაკაცი ისევ მის უკან აღმოჩნდა, უკნიდან მივარდა, ასფალტზე დააგდო და ზევიდან დააწვა. ის რამდენიმე წამის განმავლობაში ამყოფებდა ქალს ასეთ მდგომარეობაში, სანამ ეს უკანასკნელი მისთვის რაიმე ნივთის ჩარტყმას მოახერხებდა. ამის შემდეგ მამაკაცი გაიქცა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მამაკაცმა ქალს ხელები შორტებში ჩაუყო და დუნდულებზე ჩააფრინდა. ამ ინციდენტის შედეგად ქალს დაზიანებები არ მიუღია და სამედიცინო დახმარებაზე უარი განაცხადა. ამ დროისთვის პოლიცია ეჭვმიტანილს ეძებს.

ქალმა სახლის სხვენში აშშ-ის დამოუკიდებლობის დეკლარაცია იპოვა და გამილიონერდა



შოტლანდიის ქალაქ ედინბურგის მკვიდრმა ქალმა საკუთარი სახლის სხვენში აშშ-ის დამოუკიდებლობის დეკლარაციის ასლი იპოვა და მილიონერი გახდა.

აღნიშნული საბუთი უიშვიათესი წიგნების სპეციალისტმა კეტი მარდსენმა იმ დროს აღმოაჩინა, როდესაც საკუთარი სახლის სხვენს აღაგებდა.

– ფურცლების დასტას ვალაგებდი და ამ დროს დაკეცილი პერგამენტი შევნიშნე, – განაცხადა ქალმა.

მან ნაპოვნი საბუთი მაშინვე სამსახურში წაიღო, სადაც ხანგრძლივი გამოკვლევის შემდეგ მისი ნამდვილობა დადასტურდა. ნაპოვნი დამოუკიდებლობის დეკლარაცია 201 ანაბეჭდიდან ერთ-ერთი აღმოჩნდა, რომელიც ასლების გადამღებმა უილიამ სტოუნმა 1820-იან წლებში აშშ-ის სენატის შეკვეთით დაამზადა. ამ დროისთვის ამ სერიის 48 საბუთის ადგილმდებარეობაა ცნობილი.

როგორც მარდსენმა დაადგინა, მის მიერ ნაპოვნი საბუთი ჩარლზ კეროლის კუთვნილი ორი ეგზემპლარიდან ერთ-ერთი იყო. კეროლი პოლიტიკური მოღვაწე გახლდათ, რომელმაც 1776 წლის 4 ივლისს აშშ-ის დამოუკიდებლობის დეკლარაციას მოაწერა ხელი. მან ისინი თავისი შვილიშვილის მეუღლეს ჯონ მაკტავიშს, შოტლანდიელ-კანადელ დიპლომატს აჩუქა, რომელიც მერილენდის შტატში დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლად მსახურობდა.

1 ივლისს აღნიშნული საბუთი აშშ-ში აუქციონზე 4 მილიონ 420 ათას დოლარად გაიყიდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საზოგადოება

ლანა ღოღობერიძე: „პატრიოტიზმის და მართლმადიდებლობის სახელით უმრავლესობამ დაჩაგრა ადამიანთა მცირე ჯგუფი!“

რეჟისორი ლანა ღოღობერიძე დამწუხრებულია ქვეყანაში ბოლო დღეებში მიმდინარე მოვლენების გამო:

– ძალიან, ძალიან დამწუხრებული ვარ. ამ დღეებში ჩემ სამშობლოში მოხდა რაღაც, ძალიან შემაშფოთებელი.

პატრიოტიზმის და მართლმადიდებლობის სახელით უმრავლესობამ დაჩაგრა ადამიანთა მცირე ჯგუფი! უარი ათქმევინა ღირსების მარშის მოწყობაზე. სცემა და ცხვირპირი ჩაუმტვრია ჟურნალისტებს, რომლებიც კეთილსინდისიერად და თავდადებით ასრულებდნენ თავიანთ პროფესიულ მოვალეობას!

და ბოლოს, როგორც ამ ყველაფრის სიმბოლო, 30-წლიანი დამოუკიდებლობის და დასავლეთისკენ თითქოს გააზრებული მსვლელობის ფონზე ვიხილეთ საოცარი აქტი: როგორ ჩამოხსნა ოფიციალური შენობიდან ადამიანთა ჯგუფმა ევროკავშირის დროშა! და მარტო ჩამოხსნა კი არა, დაწვა!

ახლა პირდაპირი გზა გვაქვს: არ გვინდა დასავლეთი, არ გვინდა თავისუფლება და თანასწორობა, არ გვინდა სილაღე და სიხარული, ერთმანეთის გაგება და დაფასება, წინ! თუ პირიქით, უკან: საბჭოთა კავშირისკენ და უფრო ახლოს, პუტინის რუსეთისკენ! წინ, პიროვნების ჩაგვრისა და განადგურებისაკენ, სიბნელისა და სიღარიბისკენ!

მე ყველაფრის უფლება მაქვს, რადგანაც ის ჩემგან განსხვავებულია, რა მნიშვნელობა აქვს, კანის ფერით, აღმსარებლობით თუ სექსუალური ორიენტაციით! მთავარია, რომ მე უმრავლესობას წარმოვადგენ, ის კი უმცირესობას! ამიტომ მე თავისთავად მართალი ვარ!

და მე გულით მაინტერესებს: ნუთუ მათ, ვინც ეს ყველაფერი მოიმოქმედა, აქვთ კმაყოფილების შეგრძნება? მეტიც, სიამაყის განცდა?

მე მინდა ვუთხრა ამ ადამიანებს, რომლებსაც, დარწმუნებული ვარ, თვითონაც არ ულხინთ და არც ისე კარგად გრძნობენ თავს ამ ცხოვრებაში, იქნებ არც დასაქმებულები არიან, ვერც ოჯახებს არჩენენ წესიერად... ნუ დაემორჩილებიან ჯოგის ინსტინქტს. ნუ იფიქრებენ, რომ თუ სხვას დაჩაგრავენ, თვითონ უკეთ იგრძნობენ თავს. ეს ისეთი ელემენტარული განცდაა: ჩვენ ბევრნი ვართ, ბევრად მეტი, ვიდრე ისინი და ამიტომ შეგვიძლია დავჩაგროთ, ჩავკლათ მათში ადამიანური ღირსება და ამით ჩვენი ადამიანური ღირსება დავამტკიცოთ!

თქვენ გგონიათ, რომ მოქმედებთ ქრისტიანობის სახელით, მაგრამ პირველქმნილი ქრისტიანობა თავის არსში ზუსტად საწინააღმდეგოს ქადაგებს და ეს მთავარი – მოყვასის მიმართ სიყვარული და თანაგრძნობაა.

დღეს თქვენ გაქვთ შეგრძნება, რომ გაიმარჯვეთ, მაგრამ გარწმუნებთ, ეს პიროსის გამარჯვებაა. გუშინ ეს ბუნებამაც გითხრათ: თქვენ გეგონათ, რომ ჩააქრეთ ცისარტყელა, მაგრამ ის ბევრად უფრო ძლიერად მოგვევლინა და ჩაუქრობელ ფერებად აკიაფდა თბილისის ცაზე!

ბოლოს და ბოლოს, ცისარტყელა ჩვენს სულშიც გაბრწყინდება, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს დიდი დანაკარგების და ტკივილის ფასად მოხდება.

მოქანდაკე მერაბ მერაბიშვილი 90 წლისაა

მოქანდაკე მერაბ მერაბიშვილი, საქართველოს სახალხო მხატვარი, საქართველოს მეცნიერებათა და რუსეთის სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროფესორი და კათედრის გამგე, თბილისის საპატიო მოქალაქე 90 წლის გახდა.

იგი ქართველი მოქანდაკის და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს სახალხო მხატვრის, რუსეთის სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრის, თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორის, შოთა რუსთაველის ძეგლის და სხვა მრავალი ძეგლებისა და პორტრეტების ავტორის კონსტანტინე მერაბიშვილისა და სოფიო ნიკოლაიშვილის ოჯახში 9 ათეული წლის წინ დაიბადა.

მერაბ მერაბიშვილის ძირითადი შემოქმედება გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოდან სამხატვრო აკადემიის და ასპირანტურის დამთავრების პერიოდში დაიწყო და ამჟამადაც გრძელდება.

მისი ნამუშევრებიდან აღსანიშნავია ალექსანდრე გრიბოედოვის ძეგლი თბილისში, ერეკლე II ცხენოსანი ძეგლი თელავში, გენერალ პეტრე ბაგრატიონის ცხენოსანი ძეგლი თბილისში, შოთა რუსთაველის ძეგლი ბუდაპეშტში, გენერალ პეტრე ბაგრატიონის ცხენოსანი ძეგლი მოსკოვში, პოეტ ილო მოსაშვილის ძეგლი თბილისში, კომპოზიცია „სევდა“, „პრომეთეოსი“, ასევე ვრცელი გალერეა ცნობილ მოღვაწეთა პორტრეტებისა.

– ჩემს შემოქმედებაში მე ვარ რეალისტი. როგორც ცნობილია, რეალიზმს აქვს ფართო დიაპაზონი, ამიტომ მე ვაფასებ და პატივს ვცემ ხელოვნების გამოვლინების ყველა თანამედროვე ფორმას. ნამდვილ ხელოვნებას არ სჭირდება ადვოკატი. ეს არის ჩემი ღრმა რწმენა, – ამბობს იუბილარი მოქანდაკე.

მერაბ მერაბიშვილი თბილისის საპატიო მოქალაქეა, მიღებული აქვს ღირსების ორდენი, დიმიტროვის ოქროს მედალი და რუსეთის სამხატვრო აკადემიის ოქროს მედალი.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

იტალია ფინალშია

იტალია-ესპანეთი 1:1 (4:2პ)

ლონდონი. უემბლი

1:0 კიეზა (60), 1:1 მორატა (80)

პენალტების სერია: ლოკატელი (მეკარე), ოლმო (ააცილა) ბელოტი (1:0), მორენო (1:1), ბონუჩი (2:1), ალკანტარა (2:2), ბერნარდესკი (3:2), მორატა (მეკარე), ჟორჟინიო (4:2)

იტალია: დონარუმა, დი ლორენცო, ბონუჩი, კიელინი, ემერსონი (ტოლოი 74), ბარელა (ლოკატელი 85), ჟორჟინიო, ვერატი (პესინა 74), კიეზა (ბერნარდესკი 107), იმობილე (ბერარდი 61), ინსინიე (ბელოტი 85)

ესპანეთი: სიმონი, ასპილიკუეტა (მ.ლორენტე 85), ე.გარსია (პ.ტორესი 109), ლაპორტი, ალბა, კოკე (როდრი 70), ბუსკეტსი (ალკანტარა 106), პედრი, ფ.ტორესი (მორატა 62), ოიარსაბალი (მორენო 70), ოლმო

ბოლოს და ბოლოს უნდა მომხდარიყო – ესპანეთის ნაკრებმა დამატებით დროში გააგდო ხორვატია, შემდეგ მატჩის შემდგომ პენალტებში მოუგო შვეიცარიას და ეს იღბლიანი სერია იტალიასთან ასევე პენალტებში შეწყდა.

მატჩის სცენარი ადვილად გამოსაცნობი იყო – ესპანეთი აქცენტს ბურთის ფლობაზე გააკეთებდა, ხოლო იტალია კონტრშეტევებით შეეცდებოდა ფინალში გასვლას. ასეც მოხდა. უგოლო და მოსაწყენი პირველი ტაიმის შემდეგ გუნდები უფრო ხალისიანად ათამაშდნენ და საათის თავზე ფედერიკო კიეზამ იტალიელთა კონტრშეტევა და ესპანელი მცველების შეცდომა მოხდენილი გოლით დაასრულა.

თუმცა, იტალიელებმა მოგება ძირითადი დროის ბოლომდე ვერ შეინარჩუნეს. მართალია, ლუის ენრიკეს შეგირდები პერიოდულად ქმნიდნენ მომენტებს, მაგრამ როგორც კი პირინეელთა თავკაცმა შეტევა გააძლიერა, ალვარო მორატამ ანგარიში გაათანაბრა. საგოლე პასი დანი ოლმომ გაუკეთა.

დამატებით დროში ორივე გუნდი უფრო ფრთხილობდა. არ უნდოდა საბედისწერო შეცდომა დაეშვა და საქმე პენალტებამდე მივიდა.

იტალიელებმა მხოლოდ ერთი გააცუდეს, ესპანელებმა – 2 და „სკუადრა აძურა“ ფინალშია, სადაც ინგლისი-დანიას შორის გამარჯვებულ წყვილს ელოდება.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ჯანლუიჯი დონარუმა

დონარუმამ რამდენიმე დასამახსოვრებელი ეპიზოდი ჯერ კიდევ თამაშის მიმდინარეობისას შემოგვთავაზა, ხოლო პენალტების სერიაში გუნდის გამარჯვების ერთ-ერთი უმთავრესი შემოქმედი იყო.

რობერტო მანჩინი:

– აქამდე რომ მოვედით, არაა ჩემი დამსახურება. ეს იმ ბიჭების სულისკვეთებით მოხდა, ვისაც ამ ყველაფრის სჯეროდათ. თუმცა, ჯერ არაფერი დასრულებულა, სამუშაო დასასრულებელია. ძალები უნდა აღვიდგინოთ და ფინალში ვითამაშოთ.

ძალიან რთული თამაში იყო, ესპანეთის ნაკრები შესანიშნავი გუნდია. ისინი ძალიან კარგად თამაშობდნენ და ბურთის ფლობის ოსტატები არიან. ჩვენც კარგად ვითამაშეთ, მაგრამ არა ისე, როგორც ჩვეულებრივ ვთამაშობთ. თუმცა, ვიცოდით, რომ ურთულესი თამაში იქნებოდა. მორატას წინააღმდეგ თავიდან გაგვიჭირდა, მაგრამ შემდეგ მოვახერხეთ გადაწყობა და ბოლოს განსაკუთრებული საფრთხე არ დაგვმუქრებია. მინდა ვთქვა, რომ იტალიურ სტილში არ მოგვიგია. გუნდები უტევენ და თავს იცავენ, მხოლოდ შეტევა შეუძლებელია და ჩვენი საგოლე მომენტები ჩვენც გვქონდა. ძალიან გახსნილი თამაში იყო. ვის ველოდები ფინალში? არ ვიცი, მაგრამ ჩვენ ფინალში ვართ. 4 დღე გვაქვს ენერგიის აღსადგენად და ვნახოთ, რა მოხდება.

ლუის ენრიკე:

– ბედნიერი ვარ იმით, რაც ვნახე. 2 უმაღლესი დონის გუნდი თამაშობდა და გულშემატკივრებისთვის ეს ნამდვილი სპექტაკლი იყო. იმედი მაქვს, რომ ფინალში იტალია დიდ თამაშს ჩაატარებს. არანაირი სინანული, ყველამ მაქსიმუმი გააკეთა. ეს იყო ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი, რომელიც ამ ევროპის ჩემპიონატზე ვნახეთ, ეს იყო მატჩი 2 მანქანას შორის. არაფერს ვნანობ, მოგებაც უნდა იცოდე და წაგებაც, ეს ფეხბურთია. ვუყურე, როგორ ითამაშეს ლუკაკუს წინააღმდეგ კიელინიმ და ბონუჩიმ. ამიტომ გადავწყვიტე, რომ ფორვარდი არ დამეყენებინა და ერთით მეტი კაცი ნახევარდაცვაში გვყოლოდა. ახლა იტალიას ვგულშემატკივრობ, ინგლისელებს ეს არ მოეწონებათ, მაგრამ ფინალში იტალიას ვგულშემატკივრობ.

ესპანეთმა ევროპის ჩემპიონატზე დიდებულად ითამაშა. 9 წელი უდაბნოში ყოფნის შემდეგ ესპანეთი დაბრუნდა. ახლა დეტალები უნდა გავაანალიზოთ. მსოფლიოს ჩემპიონატისთვის გვყავს ვეტერანები და მოწიფული ახალგაზრდები, რომლებიც დიდ სიხარულს მოგვიტანენ. ესპანეთში ხალხი თავისი გუნდით ამაყობს. მადლობა გადავუხადე მორატას და ჩავეხუტე. მან ოცნების საშუალება მოგვცა. იტალიას პენალტების სერია სურდა, ჩვენ კი მზად ვიყავით, კიდევ 30 წუთი გვეთამაშა. უნდა ვიამაყოთ იმით, რაც ვნახეთ. ამ გუნდს 9 ქულით შევაფასებდი.

პენალტების შესრულების 6 კანდიდატი გვყავდა და ყველასთან ვისაუბრე, ვუთხარი, რომ შეცდომის დაშვებაზე არ ენერვიულათ. ნახეთ, როგორი ჩემპიონატი ჩაატარა პედრიმ? 18 წლის ბიჭმა? მე ასეთი ინიესტასგანაც არ მინახავს, არავისგან მინახავს.

შავი ლომი – ახალი ქართული გუნდი ევროსარბიელზე

პირველი ქართული პროფესიული ფრენჩაიზი შავი ლომი, სექტემბრიდან ახალ საკლუბო ტურნირში ჩაერთვება, რომელსაც რაგბი ევროპის სუპერთასი ეწოდება.

როგორც უკვე ცნობილია, მსოფლიო რაგბიმ და რაგბი ევროპამ ერთობლივად შექმნილი ახალი ევროპული საკლუბო ტურნირის შექმნა დაადასტურეს.

სადებიუტო სეზონშიც 8 გუნდი მიიღებს მონაწილეობას – 2 კლუბი და 6 ფრენჩაიზი, რომლებიც ორ ოთხგუნდიან დასავლეთ და აღმოსავლეთ კონფერენციაში გადანაწილდებიან.

აღმოსავლეთ კონფერენციაში ითამაშებენ: შავი ლომი (საქართველო), ენისეი (რუსეთი), ლოკომოტივი (რუსეთი), თელავივ ჰითი (ისრაელი);

დასავლეთ კონფერენციაში ითამაშებენ: ბრიუსელს დევილზი (ბელგია), დელტა (ნიდერლანდები), ლუსიტანოსი (პორტუგალია), იბერიანზი (ესპანეთი).

ჯგუფურ ეტაპზე თითოეული გუნდი ერთმანეთის წინააღმდეგ შინ და გასვლაზე ითამაშებენ. თითოეული კონფერენციის 2-2 საუკეთესო გუნდი ნახევარფინალში გავლენ.

ჯგუფური ეტაპის მატჩები სექტემბერ-დეკემბერში გაიმართება (18-19 და 25-26 სექტემბერი, 23-24 და 30-31 ოქტომბერი და 4-5 და 11-12 დეკემბერი), ნახევარფინალები აპრილში შედგება, ხოლო ფინალი 2022 წლის მაისში გაიმართება.

სამომავლოდ იგეგმება, რომ მონაწილეთა რაოდენობა 16-მდე გაიზარდოს. რაგბის კავშირის სპორტული მიმართულების ვიცე-პრეზიდენტი ბაჩო ხურციძე, პირველი პროფესიული ქართული ფრენჩაიზის დაარსებას ქართული რაგბისთვის უმნიშვნელოვანეს წამოწყებად მიიჩნევს. შესაძლოა, ეს პროექტი იყოს ყველაზე მნიშვნელოვანიც კი, ქართული რაგბის მომავლისთვის.

ბაჩო ხურციძე:

– ფრენჩაიზი ქართული რაგბის განვითარების ქვაკუთხედია, მთავარი კომპონენტი მისი წინსვლისთვის და უმნიშვნელოვანესი იყო მისი შექმნა. სულმოუთქმელად ველით ევროპის სუპერთასის დაწყებას და მასში ჩვენი ახალი გუნდის ჩართვას. გვაინტერესებს, როგორ განვითარდება ეს პროექტი. პირველი თამაშები სექტემბერში დაგეგმილი და გულშემატკივარს ნამდვილი სარაგბო ზეიმი ელით. მიუხედავად იმისა, რომ სამომავლოდ გვსურს ჩვენმა ფრენჩაიზმა უფრო ძლიერ ტურნირებში მიიღოს მონაწილეობა (მაგალითად, კელტური ლიგა), ამ ეტაპზე რაგბი ევროპის სუპერთასში ჩართვა, ამ ახლად შექმნილი ფრენჩაიზისთვის ზედგამოჭრილია. მასში საკმაოდ ძლიერი გუნდები მონაწილეობენ და მათი რაოდენობა კიდევ გაიზრდება. გარდა ამისა, სამომავლოდ ევროპის სუპერთასი გახდება ჩელენჯ ქაფის შესარჩევი ეტაპი. პარალელურად გვაქვს მოლაპარაკება სამხრეთ აფრიკასთან და ჩვენი ფრენჩაიზი „ქარი ქაფშიც“ მიიღებს მონაწილეობას.

ხურციძის თქმით, პირველი პროფესიული ქართული ფრენჩაიზის სახელს რამდენიმე სიმბოლური დატვირთვა აქვს.

– გულშემატკივრები „ბორჯღალოსნებს“ ხშირად მოიხსენიებენ ლომებად; მსგავსი სახელით სპორტულ სივრცეში არც ერთი გუნდი არ არის; არაოფიციალურ სარაგბო ჰიმნში არის ფრაზა – თავისუფლება ლომთა ხვედრია. გარდა ამისა, ინსპირაცია იყო ცნობილი ქართველი მხატვრის ნახატი შავი ლომი, რაც მისი ფანტაზიის ნაყოფია და სხვადასხვა ვარიანტები, არჩევანი ამ სახელზე შევაჩერეთ.

იმისათვის, რომ მორაგბეებს სათამაშო პრაქტიკა არ მოაკლდეთ, არის იდეა, რომ მათ არასატურნირო დღეებში დიდი 10-ის კლუბებში ითამაშონ:

– გვაქვს ვალდებულება, რომ ფრენჩაიზში მინიმუმ 36 მოთამაშე გვყავდეს დაკონტრაქტებული. ეს არის საშუალება, რომ შევამციროთ მოთამაშეთა გადინება დაბალი დონის კლუბებსა და ჩემპიონატებში. ამ ეტაპზე კონტრაქტი გავაფორმეთ იმ მორაგბეებთან, რომლებიც სანაკრებო სივრცის (ბორჯღალოსნები, 7-კაცა) მოთამაშეებად მოიაზრებიან და კონტრაქტიდან თავისუფალი იყვნენ. ერთი წლის შემდეგ შეგვეძლება პერსპექტიული მოთამაშეების დამატება საფრანგეთის სხვადასხვა დივიზიონიდან.

ჩვენი სურვილია, რომ შიდა ჩემპიონატის კლუბებს მიეცეთ შესაძლებლობა და ფრენჩაიზიდან დიდი 10-ისთვის დაარეგისტრირონ მაქსიმუმ 3-3 მოთამაშე. როდესაც შავ ლომს არ ექნება თამაშები, ან რომელიმე მორაგბე ვერ მოხვდება სამატჩო განაცხადში, მათ შეეძლებათ კლუბების გაძლიერება და არც თავად დააკლდებათ სათამაშო პრაქტიკა. ეს არის აპრობირებული მეთოდი. მსოფლიოს ყველა წამყვანი ფრენჩაიზის მორაგბე, თავისუფალ დროს ამა თუ იმ კლუბის შემადგენლობაში თამაშობს შიდა ჩემპიონატში. ეს მოთამაშეებისთვისაც კარგი იქნება, კლუბებსაც წაადგება და ჩემპიონატსაც გააძლიერებს.

ახალ ტურნირთან და ახლა გუნდთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა იოსებ ტყემალაძემ:

– ქართული რაგბის გულშემატკივრებს ვულოცავ პირველი ქართული ფრენჩაიზის დაბადებას. დღეს ყველა ჩვენთაგანის დიდი ხნის ნატვრა ახდა. მიუხედავად ფინანსური პრობლემებისა, მოხერხდა იმ გუნდის ჩამოყალიბება, რომელიც ღრმად მწამს, ქართულ რაგბს კიდევ უფრო ახალ სიმაღლეებზე აიყვანს. რაც შეეხება ახალ საკლუბო ჩემპიონატს, მოხარულები ვართ რაგბი ევროპის სუპერთასის დაარსებით. ველოდებით მაღალი დონის ტურნირს და ხარისხიან თამაშებს. ეს მხოლოდ დასაწყისია და ვიმედოვნებთ, რომ სამომავლოდ ქართული ფრენჩაიზი შავი ლომი კიდევ უფრო მეტ მაღალი დონის ჩემპიონატებში ჩაერთვება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ტრავმებში გადაყრილი ფული

ესპანურმა მედიამ ის თანხა დაიანგარიშა, რასაც ევროპული კლუბები იმ ფეხბურთელებზე ხარჯავენ, ვისაც მეტი დრო ლაზარეთში აქვთ გატარებული და არა მწვანე მინდორზე.

ამ მხრივ ყველაზე დიდი თანხა ედენ აზარზე დაიხარჯა: ბელგიელი მადრიდის რეალში კვირაში 475.000 ევროს იღებს. ტრავმის გამო კი, გასულ სეზონში 252 დღე გაუცდა. ამრიგად, მადრიდელებმა აზარს წელიწადში დაახლოებით 17 მილიონი ევრო გადაუხადეს და მისგან სარგებელს ვერ ნახულობდნენ.

რეიტინგის მე-2 ადგილზე ფელიპე კოუტინიოა, რომელიც კვირაში იმდენივე თანხას გამოიმუშავებს, რასაც აზარი, მაგრამ მასზე ოდნავ ნაკლები დრო გაატარა ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ – ბრაზილიელმა გასულ სეზონში 233 დღე გამოტოვა.

ბარსელონამ კოუტინიოს გამო დაახლოებით 16 მილიონიანი ზარალი ნახა.

სიაში მე-3 პოზიციაზეა ნეიმარი – ბრაზილიელი კვირაში თითქმის 1 მილიონ ევროს იღებს და გასულ სეზონში ტრავმის გამო 95 დღე გამოტოვა. პარიზულმა კლუბმა 13.6 მილიონი ევრო იზარალა.

მე-4 ადგილს პოლ პოგბა იკავებს, რომელიც კვირაში 340.000 ევროს იღებს და გასულ სეზონში ტრავმის გამო 230 დღე გაუცდა. იუნაიტედმა ამის გამო 11 მილიონი ევრო დაკარგა.

სიის მე-5 ნომერი მარკო როისია, რომელიც დორტმუნდში კვირაში 245.000 ევროს იღებს, მაგრამ წინა სეზონში 214 დღე გამოტოვა და კლუბმა 7.5 მილიონი ევროთი იზარალა.

კვლევაში 2020 წლის აპრილიდან 2021 წლის მარტამდე მონაკვეთია მოცემული.

და ბოლოს გუნდები, რომლებმაც ევროპის მასშტაბით ტრავმირებული ფეხბურთელების გამო ყველაზე დიდი ზარალი ნახეს: მანჩესტერ იუნაიტედი, იუვენტუსი, დორტმუნდი და პსჟ.

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. მატყლის სართავი უმარტივესი ბზრიალა ხელსაწყო; 2. მსუბუქ, ორთვლიან ეტლში შებმული ადამიანი; 3. იაროსლავ ჰაშეკის ნაწარმოებთა პოპულარული პერსონაჟი; 5. ლიტერატურის თხრობითი ჟანრი; 6. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 8. სახელმწიფო აზიაში; 10. ნიუ იორკის ერთ-ერთი რაიონი; 12. გულის მოქმედების ერთ-ერთი ფაზა, შეკუმშვა; 14. ერთ-ერთი კონტინენტი; 15. ოხუნჯი, ხუმარა ადამიანის სახელწოდება ძველად საქართველოში; 16. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა.

თარაზულად: 1. ნაყვავილარი სახის მქონე ადამიანის ძველი სახელწოდება; 4. ლიტერატურული ნაწარმოების დასკვნითი ნაწილი; 7. აბანოს მოსამსახურე პირი; 9. აქლემის ნაშიერი; 11. არაგვის ერისთავთა რეზიდენცია; 12. ქართველებით დასახლებული რაიონი აზერბაიჯანში; 13. თევზის საჭერი მოწყობილობა; 17. ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი საქართველოში; 18. ხელოვნების მუზეუმი ლოსანჟელესში; 19. უანგარო ზრუნვა სხვისი კეთილდღეობისთვის; 20. ჩინური ნავთობკომპანია.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ტოშიბა; 2. სინაი; 3. მაიამი; 4. კამორა; 6. მელიავა; 9. თეთრი; 11. ტერტერა; 15. შეკვეთილი; 16. ჯავარა; 17. ხიზილალა; 19. იღუმენი; 21. თემშარა; 22. შუამთა.

თარაზულად: 5. კოხინორი; 7. ეპილოგი; 8. ამქარი; 10. ნეოლითი; 12. რურუა; 13. სტეპი; 14. ტერეშკოვა; 18. შატლი; 20. ჩაფიძე; 23. დუკერი; 24. მომა; 25. პირელი; 26. თული; 27. პროექტი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ბაშო; 2. მუყაო; 3. კოიოტი; 5. დიეტა; 6. ნომინალი; 8. ყარაჩოღელი; 10. გლუკოზა; 12. აპრიორი; 14. ჩრჩილი; 15. საცივი; 16. კიევო.

თარაზულად: 1. ბოჰემა; 4. ედისონი; 7. ბაყალი; 9. ტონაჟი; 11. პრომილე; 12. ალკოჰოლი; 13. სკვერი; 17. მარულა; 18. ცეცე; 19. არმანიაკი; 20. ფიტოფაგი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

8 ივლისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1370

ევრო — 3.7079

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.3338

100 რუსული რუბლი — 4.2267

ამინდის პროგნოზი 8 ივლისისათვის

ბალოტელი კარიერას თურქეთში გააგრძელებს

მარიო ბალოტელი კარიერას თურქულ ადანა დემირსპორში გააგრძელებს და მან თურქულ გუნდთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. დემირსპორმა განცხადებაც გააკეთა, რომლის მიხედვითაც მათ ბალოტელის ტრანსფერი დადებითად შეაფასეს და ამ განცხადებაში ნათქვამია, რომ ბალოტელი გუნდს აუცილებლად გააძლიერებს.

ბალოტელიმ ბოლო სეზონი სერია ბ-ში გაატარა, სადაც თავი ბევრად არაფრით გამოუჩენია.

კოპა ამერიკის ფინალში არგენტინა ბრაზილიას დაუპირისპირდება

კოპა ამერიკის ფინალში ერთმანეთს ბრაზილიის და არგენტინის ნაკრებები დაუპირისპირდებიან და შეხვედრა 11 ივლისს თბილისის დროით დილის 5 საათზე დაიწყება. არგენტინელებმა ნახევარფინალში კოლუმბიის ნაკრები დაამარცხეს პენალტების სერიაში, ბრაზილიამ კი ჩილეს სძლია 1:0.

ეს ორი გუნდი ერთმანეთს კოპა ამერიკის ფინალში 2007 წელს შეხვდა, როდესაც ბრაზილიამ 3:0 მოიგო.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ამერიკელმა ჰოთ-დოგების ჭამის მსოფლიო რეკორდი დაამყარა

ამერიკელმა ჯოუი ჩესტნატმა, მეტსახელად ყბებმა, 10 წუთში 76 ჰოთ-დოგი შეჭამა ნიუ იორკში გამართულ შეჯიბრებაზე და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

აღსანიშნავია, რომ ეს ჩესტნატის მეთოთხმეტე გამარჯვებაა ბოლო 15 წლის განმავლობაში. ამასთან, მან 2020 წელს დამყარებული საკუთარი რეკორდი დაამხო. მაშინ მისი შედეგი 75 ჰოთ-დოგი იყო. გარდა ამისა, მაშინ კორონავირუსის პანდემიის გამო შეჯიბრება შენობაში მაყურებლების გარეშე ჩატარდა. როგორც ამერიკელმა აღიარა, გასულ წელს მას ძალიან აკლდა გულშემატკივრების მხარდაჭერა.

– მთელი წელი მოუთმენლად ველოდი წლევანდელ შეჯიბრებას, – განაცხადა ჩესტნატმა ჟურნალისტებთან საუბარში შეჯიბრების დაწყებამდე.

ქალებს შორის შეჯიბრების გამარჯვებული მიშელ ლესკო გახდა. მან 10 წუთში 30-ის და კიდევ ნახევარი ჰოთ-დოგის შეჭმა მოასწრო.

უზარმაზარმა ნიანგმა სოფლის ქუჩებში გაისეირნა

ინდოეთის კარნატაკას შტატის ქალაქ დანდელის რაიონის სოფლის ქუჩებში უზარმაზარმა ნიანგმა გაისეირნა და ეს ფაქტი ვიდეოზე გადაიღეს.

რეპტილიის სოფლის ქუჩებში სეირნობის ამსახველი ვიდეო ინდოეთის სატყეო მეურნეობის სამსახურის თანამშრომელმა რამეშ პანდეიმ ტვიტერში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა. მისი თქმით, ნიანგი იქ, სავარაუდოდ, მდინარეების სეზონური წყალდიდობის შედეგად აღმოჩნდა. ასევე, შესაძლოა, რომ ცხოველი იქ სოფლის მახლობლად მდებარე დანდელის ნაკრძალიდან მოვიდა.

ამ შემთხვევის შედეგად სოფლის მცხოვრებლებიდან არავინ დაშავებულა, ხოლო ნიანგი დაიჭირეს და უახლოეს მდინარეში გაუშვეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

8 ივლისისათვის

ვერძი – კოლეგებთან და ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა იღბლიანია. ორგანიზებულობა და სითამამე დღის დევიზია. ** კურო** – ილუზიებს ნუ აჰყვებით. საღი აზრი შეინარჩუნეთ. შორს გამგზავრება რეკომენდებული არ არის. **ტყუპები** – ახლობლები იმედს გაგიცრუებენ. პროფესიაში უკუსვლაა მოსალოდნელი. **კირჩხიბი** – დაისვენეთ, შეიცვალეთ გარემო. ახალი საქმის დასაწყებად ენერგია გჭირდებათ. **ლომი** – იდეების რეალიზებაში კოლეგები დაგეხმარებიან. შესაძლოა, დაგასაჩუქრონ. **ქალწული** – გარისკვა დღეს სასურველ შედეგს გამოიღებს. ფინანსურ ოპერაციებში გიმართლებთ. **სასწორი** – არაჯანსაღი გარემო, საკვები და ინერტულობა ჯანმრთელობას გაგიუარესებთ. ფიზიკური დატვირთვა დღეს სავალდებულოა. **ღრიანკალი** – რომანტიკული შეხვედრა ხასიათს გამოგიკეთებთ. ეცადეთ, დღეს ნაკლები იმუშაოთ. **მშვილდოსანი** – ერიდეთ კომერციულ გარიგებებსა და საქმიან შეხვედრებს. უმჯობესია, ეს დღე ოჯახურ ატმოსფეროში გაატაროთ. **თხის რქა** – ოფიციალურობა და სიხისტე არასასურველია. იყავით გულმოწყალე და მიმნდობი. **მერწყული** – სრულყავით პროფესიონალიზმი, შეისწავლეთ ახალი საქმე. სულიერებაზეც იზრუნეთ. **თევზები** – სოლიდური ორგანიზაციები თქვენ მიმართ ინტერესს ავლენენ. ეცადეთ, საკუთარი ნიჭი და უნარი ფართოდ წარმოაჩინოთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

●●●

ექიმი მამაკაცს ეუბნება:
– თუ მოწევას თავს დაანებებთ, სამოცდაათ წლამდე იცოცხლებთ.
– კი მაგრამ, ექიმო, სამოცდათხუთმეტი წლის ვარ, დედაჩემი კი ოთხმოცდაცამეტ წლამდე ეწეოდა.
– და მერე მოკვდა?
– არა, ყალიონი დაკარგა.

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:
– ჩემი აზრით, დეპუტატებს მხოლოდ ორი პრივილეგია უნდა დაუტოვონ...
– რომელი?
– ზღვაში ღრმად შესვლისა და წითელზე გავლის...

●●●

ქმარი ცოლს ეკითხება:
– შენ ჰიპნოზიორი ხარ?
– არა, რატომ მეკითხები?
– აბა, შენზე რა ჯანდაბად ვიქორწინე?!

●●●

ინტერნეტში გამართული დიალოგიდან:
– შენ ორმოც წელს გადაცილებული ხარ?
– დიახ და რატომ მეკითხები?
– იმიტომ, რომ ფაქტობრივად უშეცდომოდ წერ, ძველი სკოლა აშკარად გეტყობა...

●●●

ექიმი ქალს ეუბნება:
– იმისთვის, რომ თქვენი ქმარი უფრო სწრაფად გამოჯანმრთელდეს, მეტი დალევა და გართობა სჭირდება.
– ექიმო, პირდაპირ გაოგნებული ვარ, მაშინ, როგორღა მოახერხა ცუდად გახდომა?!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კოკა ნიკოლაძე ნორვეგიაში პროფესორი გახდა



ახალგაზრდა მუსიკოსი კოკა ნიკოლაძე ნორვეგიაში პროფესორი გახდა:

– კარგი ამბავი – გავხდი ნორვეგიის მუსიკის აკადემიის ასოცირებული პროფესორი მუსიკის ტექნოლოგიებსა და ლაივ ელექტრონიკაში. ასევე ვუხელმძღვანელებ ლაივ ელექტრონიკის მიმართულებას. სიგიჟეა!

თამთა შედანია მეორე შვილს ელოდება



მის საქართველო 2012 თამთა შედანია მეორე შვილის მოლოდინშია. ის პატარას რატი რატიანისგან ელოდება. მოდელმა ექოსკოპიის ფოტო სოციალურ ქსელში გაავრცელა და უამრავი მილოცვაც მიიღო.

მოდელს პირველი ქორწინებიდან 7 წლის გოგონა – მია ჰყავს.

„სუხიშვილების“ კონცერტი ხელის თხოვნით დასრულდა

ანსამბლმა „სუხიშვილებმა“ ღია სცენაზე „თაკარა“ კონცერტების სერია დაიწყო.

ერთ-ერთ კონცერტს ყველაზე საუკეთესო დასასრული ჰქონდა – კონცერტის ბოლოს თორნიკე რობაქიძემ თავის რჩეულს, ანა გზირიშვილს ხელი პირდაპირ სცენაზე სთხოვა და საყვარელი ადამიანისგან თანხმობაც მიიღო.

თორნიკესა და ანას ბედნიერება კონცერტზე მისულმა მაყურებლებმა და მოცეკვავეებმა ილიკო და ნინო სუხიშვილებთან ერთად გაიზიარეს. მათ ბედნიერი წყვილი ხანგრძლივი აპლოდისმენტებითა და ბრავოს შეძახილებით დააჯილდოვეს.

მარკუს მეტრეველი: „შეეჯიბრეთ ერთმანეთს სიყვარულში და არა აგრესიაში“

მომღერალი მარკუს მეტრეველი აცხადებს, რომ ქართველები ერთმანეთს არა ძალადობაში, არამედ სიყვარულში უნდა შეეჯიბროთ:

– ვგმობ ძალადობას! რომელ ოკუპაციასა და მტრობაზე ვსაუბრობთ, როდესაც რუსთაველზე ჩვენ, ქართველები, ერთმანეთის ოკუპაციას ვახდენთ ძალადობით, ზიზღით, აგრესიით, ერთმანეთის ჩაქოლვით.

ოდითგანვე ვმტრობდით და ვანადგურებდით ერთმანეთს, ქართველი ქართველს და ამით ვზეიმობდით სამწუხაროდ.

ვერავინ მოგვერევა, ჩვენ რომ ნამდვილად ერთნი ვიყოთ, განსხვავებული და მრავალფეროვანი. ისეთი, როგორიც ჩვენი უნიკალური საქართველოა მრავალფეროვანი თავისი ულამაზესი რეგიონებით, სოფლებით თუ ქალაქებით.

შეეჯიბრეთ ერთმანეთს სიყვარულში და არა აგრესიასა და ძალადობაში.

დავიღალეთ!

ლევან სონღულაშვილი: „კულტურა მშია!“

– მგონია, რომ ადამიანს კულტურა უნდა შიოდეს, – ასე მიიჩნევს მხატვარი ლევან სონღულაშვილი:

– ფერწერა, თეატრი, ოპერა, კინო, პროზა-პოეზია, სამუზეუმო და საგალერეო ინფრასტრუქტურის შექმნა-განვითარება და ა.შ. – „ბაბლი ბაბლისთვის“?!

მგონია, რომ ადამიანს კულტურა უნდა შიოდეს, თუმცა ეს მაშინ, როცა მის დეფიციტს განიცდი, როცა ხვდები, რა გაკლია, რა არ იცი; როცა უცოდინრობა განუხებს, უვიცობის გერიდება; როცა თვითგანვითარებაზე ხარ ორიენტირებული და წინსწრებით ჭვრეტ მომავალს, პრობლემის გადაჭრის ცივილურ ფორმებს ეძებ, როცა ინტელექტი ურთიერთობების დალაგებაში გეხმარება; როცა „პატრიოტი“ გქვია, განა მაშინ, როცა სიტყვიერად აფიქსირებ სამშობლოს სიყვარულს, არამედ, როცა საკუთარ საქმეში რეალიზებული, შრომით ემსახურები საკუთარ თავს, ოჯახს, ქვეყანას.

იყო დრო, როცა ადამიანს ცეცხლის ეშინოდა, შემდგომ მას სცემდა თაყვანს; მოგვიანებით მისი საჭიროებისამებრ მოხმარება დაიწყო და ციურ სხეულებს ეთაყვანებოდა; შემდგომ, ამავე ცეცხლში, ინკვიზიციამ დაწვა ყველა განსხვავებული, ვინც მასებს დაუპირისპირდა; შემდგომ იყო მტრის ხატების შექმნა და უფლის სახელით დევნა...

იყო დრო, როცა სკოლები აფრთხობდათ, წიგნის ეშინოდათ, ტელევიზორს „ეშმაკის ყუთს“ უწოდებდნენ, მობილური ტელეფონი საცდურ იარაღად ესახებოდათ და სხვა. თუმცა დღეს, მშობლების უმრავლესობას სურს, შვილმა სკოლაში ისწავლოს და უნივერსიტეტის დიპლომიც მიიღოს; სასულიერო პირი სიხარულით მოიხმარს აიფონს, რათა კეთილი საქმეები ხარისხიანი გამოსახულებით აღბეჭდოს; საპატრიარქო მედია სივრცეში ქმნის ტელევიზიას, რათა სულიერ შვილებს ტელევიზორიდან მიმართოს... ჯანმრთელობის პრობლემების გაუარესების შემთხვევაში მივმართავთ დასავლურ ცივილიზაციას, რადგან მეცნიერებას, მედიცინას შეუძლია ჯანმრთელობა შეგვინარჩუნოს, სანამ სასწაულის იმედად დავრჩებით.

კულტურა მშია!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ↄ



შვეულად: 1. ოპიუმის ძველი ქართული სახელწოდება; 2. კომპანია „ტესლას“ მფლობელი; 3. თვალის დაავადება, ახლომხედველობა; 4. სატუსაღო ძველ თბილისში; 6. სამხედრო გემების დიდი შენაერთი; 9. ციტრუსების კანის ზედა შეფერილი ფენა; 11. უმაღლესი კატეგორიის დიპლომატი; 15. ორგანიზმის შეუვალობა შხამისა და დასნებოვნების წინააღმდეგ; 16. მესხების, გურულების, აჭარლების მოკლე ჩოხა; 17. დუქნის დახლიდარი; 19. ბუნებრივი ნაკრძალი იმერეთში; 21. უნაღდო ანგარიშსწორების ერთ-ერთი ფორმა საგარეო ვაჭრობაში; 22. ნაბეჭდი ტექსტის საზომი ერთეული.

თარაზულად: 5. ისტორიულად ჩამოყალიბებული, თაობიდან-თაობაზე გადაცემული ადათ-წესები; 7. სამხედრო ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული; 8. განუხორციელებელი ოცნება, ფანტაზია; 10. აზოვის ზღვის ძველი სახელწოდება; 12. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ჯიში; 13. ფინური აბანო; 14. ერთი დანიშნულების მქონე საგნების სრული კომპლექტი; 18. ცხარე საწებელი; 20. იმრე კალმანის ოპერეტა; 23. მდინარე რიონის ძველბერძნული სახელწოდება; 24. ისტორიული ციხე-სიმაგრე ზუგდიდის მახლობლად; 25. ცეცხლსასროლი იარაღის მწარმოებელი იტალიური ფირმა; 26. ლუდის ნალექი, გამონახარში; 27. ატომგულის დადებითად დამუხტული ელემენტარული ნაწილაკი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა